პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 3 თებერვალი, 1946 წ. № 25 (7498). ფასი 20 კაპ.

ვისაც სურს, რომ ჩვენი ადამიანების სისხლით მოპოვებული დიადი გამარჯვება მტკიცედ იქნას შენარჩუნებული, ვინც ესწრაფვის იმას, რომ სსრ კავშირის ხალხთა უშიშროება უზრუნველყოფილ იქნას, ვინც მხარს უჭერს საბჭოთა საგარეო პოლიტიკას, რომელიც თანმიმდევრულად იცავს სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოებრივ ინტერესებს და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმეს, იგი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

(საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან).

## ბოლშევიკების პარტიის მოწოდებანი არჩევნების წინ

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ყველა ამომრჩევლის, მუშების, გლეხების, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრების, საბჭოთა ინტელიგენციისადმი.

ყველგან ამ მიმართვამ ახალი ძალით ააზვირთა სახალხო ენტუზიაზმი მოახლოებული არჩევნების წინ. გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები. მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ მიმართვას და პირობას იძლევიან განუხრელად შეასრულონ პარტიის მოწოდებანი.

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა დიდი ისტორიული დოკუმენტია. მასში მთელი სიცხადით ჩანს, თუ რაოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი პარტია ხალხთან, მასებთან.

როგორც წარსული, ისე მომავალი არჩევნების დროს ბოლშევიკების პარტია გამოდის ბლოკით, კავშირით უპარტიო მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან. პარტია არჩევნებზე მიდის პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. მას იმედი აქვს, რომ ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

საბჭოთა ადამიანებმა გამოცდილებით იციან, რომ ჩვენი პარტიის პოლიტიკა სწორია, სავსებით შეესაბამება ხალხის ინტერესებს და მთელი მისი საქმიანობა ხალხისადმი თავდადებულ სამსახურში გამოიხატება.

ამიტომ ისინი მომავალ არჩევნებში ერთსულოვნად მისცემენ ხმას ბოლშევიკების დიად პარტიას!

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ხალხებმა დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, დაიცვეს და განამტკიცეს სოციალისტური სამშობლო, მშვიდობიანი მშენებლობის წლებში გადააქციეს იგი მოწინავე, მძლავრ სახელმწიფოდ, უზრუნველჰყვეს მოსახლეობის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების არნახული აღმავლობა.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა და მისმა გმირმა წითელმა არმიამ შესძლეს გაენადგურებინათ კაცობრიობის უბოროტესი მტრები გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტები, ბოლო მოეღოთ დასავლეთით გერმანელთა შემოსევის საფრთხისათვის და აღმოსავლეთით იაპონელთა შემოსევის საფრთხისათვის. გიგანტურ ომში საბჭოთა ხალხი თავის მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიასთან, თავის მშობლიურ საბჭოთა მთავრობასთან იყო, უცხადებდა მას ნდობას და უწევდა უდიდეს მხარდაჭერას. „კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ხალხის ნდობას, რაც ამ უკანასკნელმა აღმოუჩინა მას ესოდენ მძიმე დროს, მისთვის ძვირფასია ეს ნდობა“.

სამამულო ომში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოპოვებული უდიდესი გამარჯვება მკაფიოდ არის დახასიათებული ჩვენი პარტიის ამ ისტორიულ მიმართვაში. უკრაინის დასავლეთი საზღვრების, ჩრდილოეთ ბუკოვინის, ამიერკარპატის უკრაინის, საბჭოთა ბელორუსიის დასავლეთი საზღვრების, საბჭოთა მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკების, კლაიპედისა და კენიგსბერგის ოლქების, პეჩენგის რაიონისა და პორკალა-უდის, სამხრეთ სახალინისა და კურილის კუნძულების, პორტ-არტურისა და დალნის რაიონების მარტოოდენ ხსენება ამომრჩევლებს ნათელ წარმოდგენას აძლევს, თუ რა დიდი და ბრწყინვალეა ჩვენი გამარჯვება სამამულო ომში.

„1941-1945 წლების სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვება საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პოლიტიკის გამარჯვებაა“.

ბოლშევიკების პარტია წარმართავს მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ნებისყოფას ერთი მიზნისაკენ—ჩვენი სამშობლოს, ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ.

ჩვენი პარტიის ისტორიული მიმართვის სიტყვები თვითეულ ამომრჩეველს მკაფიოდ ეუბნება:

„ვისაც სურს, რომ ჩვენი სახელმწიფო მომავალშიც იყოს ძლიერი და მძლავრი, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს“.

ბოლშევიკების პარტიამ უზრუნველჰყო საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის შექმნა და განმტკიცება. ეს ერთიანობა წარმოადგენს ჩვენი მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის დაუშრეტელ წყაროს. ამიტომ:

„ვისაც სურს, რომ ჩვენი ხალხი მუდამ იყოს ერთიანი და დარაზმული, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს“.

ბოლშევიკების პარტიამ უზრუნველჰყო ჩვენი სახელმწიფოს ხალხთა თანასწორუფლებიანობა და მეგობრობა. ამიტომ: ვისაც სურს, რომ ჩვენი სამშობლოს ხალხები კვლავ თავისუფალნი და თანასწორუფლებიანი იყონ, დღეგრძელობდეს მათ შორის დიადი სტალინური მეგობრობა, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

ბოლშევიკების პარტიამ უზრუნველჰყო სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა კავშირის გადაქცევა მოწინავე სოციალისტური მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ქვეყნად. ბოლშევიკების პარტიას, როგორც ეს ისტორიამ დაამტკიცა, აქვს ძალა და უნარი კვლავაც უზრუნველჰყოს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი უმაგალითო აღმავლობა.

ამიტომ ამბობს პარტია თავის მიმართვაში: ვისაც სურს ჩვენი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

არსად, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ისეთი ზრუნვა ხალხისათვის, როგორც ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში. ბოლშევიკების პარტია დაუცხრომლად ზრუნავდა და ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის.

ამიტომ გვეუბნება პარტია:

„ვისაც სურს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება კიდევ უფრო უზრუნველყოფილი და კულტურული იყოს, ვინც ესწრაფვის ჩვენი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს“.

ბოლშევიკების პარტია გვეუბნება, რომ, ვისაც სურს ჩვენი კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში მიღწეულ იქნას შემდგომი სწრაფი წარმატებანი, ვისაც სურს სწრაფად იქნას აღდგენილი ცხოვრების ნორმალური პირობები მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში, ვისაც სურს სოციალისტური სამშობლოს საზღვრები მიუვალი იყოს მტრისათვის და შემდეგშიც განმტკიცდეს ჩვენი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ვისაც სურს მტკიცედ იქნას შენარჩუნებული საბჭოთა ადამიანების სისხლით მოპოვებული გამარჯვება, ამასთან უზრუნველყოფილ იქნას სსრ კავშირის ხალხთა უშიშროება, — ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

სამშობლოსადმი ერთგული სამსახურით ლენინ-სტალინის პარტიამ ხალხის სიყვარული და უდიდესი ნდობა მოიპოვა. მას მომავალშიც აქვს საბჭოთა ხალხის ნდობის იმედი. ამიტომ:

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა მუშას, გლეხს, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა ინტელიგენციას, ყველა ამომრჩეველს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ბოლშევიკური პარტიის გარშემო, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტს ისეთივე ერთსულოვნებით მისცენ ხმა დეპუტატობის უპარტიო კანდიდატებს, როგორც კომუნისტ კანდიდატებს. ბოლშევიკების პარტია იმედოვნებს, რომ უპარტიო ამომრჩევლები ისეთივე ერთსულოვნებით მისცემენ ხმას კომუნისტ კანდიდატებს, როგორც უპარტიო კანდიდატებს“.

ბოლშევიკების პარტია მოუწოდებს ამომრჩევლებს ერთსულოვნად გამოცხადდენ 1946 წლის 10 თებერვალს არჩევნებზე, რათა გამოიყენონ თავიანთი საპატიო უფლება — აირჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

**ყველანი არჩევნებზე!**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ისტორიული დღე—1946 წლის 10 თებერვალი იქნება საყოველთაო სახალხო დღესასწაული, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, **ლენინ-სტალინის** პარტიის, დიდი **სტალინის** გარშემო მათი მჭიდრო დარაზმულობის გრანდიოზული დემონსტრაცია.

მაშ განუხრელად და მტკიცედ შევასრულოთ ჩვენი მშობლიური პარტიის — **ლენინ-სტალინის** პარტიის ისტორიული მოწოდებანი!

# საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ მიმართვას

## სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც გუშინ შესდგა, პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს საწარმოს მოწინავე ადამიანებმა.

აწევითი გარეცხვის საამქროს საკომპლექსო ბრიგადის უფროსმა ამხ. დ. ჭავჭანიძემ განაცხადა:

— ბოლშევიკურმა პარტიამ ჩვენი ქვეყანა დაღუპვას გადაარჩინა. მან დაგვიმკვიდრა თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება. ჩვენ მტკიცედ გვჯერა მშობლიური ბოლშევიკური პარტიისა, მისი მოწოდებისა. პარტიის მოწოდების განხორციელება ყოველთვის იყო და იქნება საბჭოთა ხალხის საპატიო საქმე. ყოველი ჩვენგანი აღფრთოვანებით მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ამხ. ჭავჭანიძემ ბრიგადის სახელით იკისრა თვიური დავალება 25 თებერვლამდე შეასრულოს და გეგმის გადამეტებით გარეცხვითი რემონტიდან 7 ორთქლმავალი გამოუშვას.

— დიდი სამამულო ომის დროს, — განაცხადა წარჩინებულმა მექვაბემ ამხ. გ. ქელიძემ, — გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა გაპარტახეს მთელი რიგი ჩვენი ქალაქები და სოფლები. ჩვენი ვალია გმირული შრომით აღვადგინოთ ყველაფერი, მოვუშუშოთ ჩვენს სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები, უფრო ძლიერი გავხადოთ იგი. სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის ხმის მიცემით ჩვენ მხარს დავუჭერთ კომუნისტურ პარტიას, ხმას მივცემთ ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

— ჩვენ გვსურს, — აცხადებს აწევითი შეკეთების საამქროს ზეინკალი ამხ. ბ. ტურაშვილი, — ახალი აყვავება. ჩვენ ვისწრაფვით, რათა სოციალისტურმა მრეწველობამ უმოკლეს ვადაში მიაღწიოს თავის ომამდელ დონეს და მნიშვნელოვნად გადააჭარბოს მას. ამიტომ ჩვენ მზადა ვართ ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული სიტყვა წარმოსთქვა მიტინგზე დამამზადებელი საამქროს უფროსმა ინჟინერმა ილია კაკაბაძემ.

— მე მსურს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის შემდგომი განვითარება, — ამბობს ორატორი, — მაშასადამე, მე ხმას მივცემ ჩვენი სამშობლოს რჩეულ შვილებს, კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი პირობას იძლევიან ცენტრალური კომიტეტის მოწოდებისამებრ 1946 წლის 10 თებერვალს ყველანი ერთსულოვნად გამოცხადდნენ საარჩევნო ყუთებთან და ღირსეულად მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი, ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს.

დეპოს კოლექტივმა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების საპასუხოდ იკისრა ვადაზე ადრე — 25 თებერვლისათვის შეასრულოს თვიური გეგმა.

## თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში

### პარტია იმას გვირჩევს, რაც აუცილებელია ჩვენი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდების მგზნებარე სიტყვებმა ახალი ენტუზიაზმით აღავსო საბჭოთა პატრიოტების გული. ისევე, როგორც მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში, თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქშიც შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები. მშრომელები გამოსთქვამდნენ თავიანთ მზადყოფნას ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

— ბოლშევიკების პარტია, — განაცხადა ამომრჩეველმა ამხ. შ. უმანიძემ, — იმას გვირჩევს, რაც აუცილებელია ჩვენი სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის. პარტია მოგვიწოდებს ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ჩვენ სიამოვნებით ვილებთ ამ რჩევას.

ამხ. შ. უმანიძე ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ორდენოსანი ზეინკალია. იგი 21 წელია, რაც საწარმოში თავდადებით მუშაობს და ახლაც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ასრულებს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად მან პირობა დასდო ყოველდღიურად ოთხი ნორმა გამოიმუშაოს.

— კომუნისტური პარტია ჩვენი ღვიძლია, — განაცხადა საორთქლმავლო დეპოს ორდენოსანმა მემანქანემ ამხ. ნ. გვენეტაძემ. მისი პოლიტიკა ჩვენი გამარჯვებების, ჩვენი სიხარულის წყაროა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული მიმართვის აღსანიშნავად ჩემი ორთქლმავლით მოხარატებიდან მოხარატებამდე 150 ათას კილომეტრს გავივლი.

— საბჭოთა ქვეყანაში პარტია და ხალხი ერთიანია. პარტიის ნება-სურვილი ჩვენი ნება-სურვილია, — ამბობს უპარტიო მასწავლებელი ზინაიდა გაბედავა. — ამიტომ პარტიის მოწოდებისამებრ მე ხმას ვაძლევ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატს, ჩვენს სახელოვან მამულიშვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

### „მადლობა მინდა გადავუხადო ამხანაგ ბერიას“

უდიდესი შრომითი აღფრთოვანებაა თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის საწარმოებში. მუშები სტახანოვურ ვახტზე დგანან, რომ ახალი წარმატებებით აღნიშნონ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღე—10 თებერვალი, როდესაც ხმას მისცემენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს — ქართველი ხალხის სახელოვან შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

წითელი ალმები ფრიალებენ 26 კომისრის სახელობის ქარხნის საამქროებში. აქ მეყალიბე გ. მელაძე და ი. მირზოევი დღითი-დღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. თითქმის ყოველდღე ათ ნორმას იძლევა მჭედელი ა. არეშოვი, მაგრამ პირველობის დროშა კვლავ ვ. კორძაძეს უპყრია, რომელიც დავალებებს მუდამ 1100-1400 პროცენტით ასრულებს.

— სტახანოვური შრომით, საწარმოო რეკორდებით მე მადლობა მინდა გადავუხადო ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას იმ დიდი პატივისათვის, რომელიც დაგვდო მან ჩვენ ოლქში კენჭის ყრაზე თანხმობა რომ განაცხადა, — ამბობს ამხ. ვ. კორძაძე.

შესანიშნავი საწარმოო მაჩვენებლებით სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს ამხანაგ ბერიასადმი, რომლის ხელი საქართველოში ატყვია ყველაფერს.

ქარხნის სახელოვანი მუშა ორდენოსანი მექვაბე მ. გეწაძე, წარჩინებული მჭედელი კ. ილურიძე, ნოვატორი ოსტატი შ. ნადირაძე, ხარატი გ. მამაგეიშვილი და აგრეთვე სხვა სტახანოველი თავდადებული შრომით აღაფრთოვანებენ მთელ კოლექტივს, რომ საღღესასწაულოდ ღირსეული საჩუქარი მოუმზადონ დედა-სამშობლოს.

ამ დღეებში კიროვის სახელობის ქარხნის მოწინავე მჭედელმა ამხ. თ. ბელიკმა დღიური ნორმა 1.583 პროცენტით შეასრულა. მან განაცხადა:

— მე მიხარია და ვამაყობ, რომ ხმას მივცემ ჩვენი რესპუბლიკის ამყვავებელს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ბერიას. როცა გული უხარია, მკლავიც გერჩის შრომაში.

## ხმას მივცემთ ჩვენი სამშობლოს საუკეთესო შვილებს

### (ტელეფონით „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აჭარაში უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით მიმდინარეობს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის განხილვისადმი მიძღვნილი მიტინგები.

ბათუმის სტალინის სახელობის ქარხანაში მიტინგზე სიტყვით პირველი გამოვიდა საამქროს უფროსი ამხ. ი. კოვალენკო.

— ლენინ-სტალინის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, — სთქვა მან, — უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტია. პარტია მოგვიწოდებს ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ჩვენ, იმ ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომელიც მშობლიური სტალინის სახელს ატარებს, ყველანი, როგორც ერთი კაცი, 10 თებერვალს გამოვცხადდებით ჩვენს საარჩევნო უბნებში და ერთსულოვნად მივცემთ ხმას გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნის რჩეულ შვილებს.

მიტინგი გაიმართა ორჯონიკიძის სახელობის ბათუმის სამკერვალო ფაბრიკაში. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გაცნობის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი ვალდებულებები იკისრეს ოსტატებმა და სტახანოველებმა შენგელიამ, ნესტეროვამ, მელქონიანმა, სოროკინმა.

ასეულობით მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი და მოსამსახურე ესწრებოდა მიტინგს ბათუმის გემსარემონტო ქარხანაში. მიტინგზე პატრიოტული სიტყვებით გამოსულმა მთავარმა ინჟინერმა ლომთაძემ, ჩამომსხმელმა მასკოვიკმა, სტახანოველმა ჩერნოშკოვამ განაცხადეს, რომ ისინი 10 თებერვალს ერთსულოვნად გამოცხადდებიან საარჩევნო უბნებში და ხმას მისცემენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს—საბჭოთა სამშობლოს სახელოვან შვილებს.

## ურღვევია პარტიისა და ხალხის კავშირი

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკოსები შეიკრიბნენ საერთო საფაბრიკო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ამომრჩევლებისადმი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გამოქვეყნებას.

ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ე. ლავთაძემ დამსწრეთ წაუკითხა მიმართვის ტექსტი.

მიტინგის მონაწილენი აღაფრთოვანა მიმართვის მგზნებარე სიტყვებმა. ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ ფაბრიკის საუკეთესო სტახანოველები.

პირველი სიტყვა აიღო 60 ჯარაზე მომუშავე კომკავშირელმა ანა ჩანადარმა.

— ბოლშევიკების პარტია იმიტომ არის უძლეველი, რომ მას არასოდეს არ შეუსუსტებია კავშირი მასებთან, — განაცხადა მან. — ჩვენ, ახალგაზრდებს, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით გვაქვს შექმნილი თავისუფალი ცხოვრების, შრომის, დასვენებისა და სწავლის პირობები. მასვე უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ ძონიჭებული გვაქვს საამაყო უფლება — მონაწილეობა მივიღოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. სიხარულით, მოუთმენლად მოველი არჩევნების დღეს — 10 თებერვალს. სიტყვას ვიძლევი, ამ ისტორიული დღისათვის გეგმა 160 პროცენტით შევასრულო.

ტრიბუნაზეა უპარტიო მუშა, სტახანოველი ლიდა ენუქიძე. მან დამსწრეთ მოუწოდა ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს და პირობა დასდო, რომ არჩევნების დღისათვის საწარმოო გეგმას 150 პროცენტით შეასრულებს.

ოთხდაზგოსანმა შუშანა კალმახელიძემ განაცხადა: — ურღვევია პარტიისა და მასების კავშირი. მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად როგორც კომუნისტები, ისე უპარტიოები. ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი აღფრთოვანებით დაასახელა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი. მოახლოვდა არჩევნების დღე. ჩვენ ყველანი ისევე ერთსულოვნად მივცემთ ხმას ჩვენს საერთო კანდიდატებს, როგორც ისინი დავასახელეთ. პირობას ვიძლევი ყოველდღიურად გეგმა 130 პროცენტით შევასრულო და ამით გამოვხატო ჩემი სიხარული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვის გამოქვეყნების გამო.

სიტყვა ეძლევა მექანიკური საამქროს სტახანოველ მემაქოეს ვასო ლოლაშვილს.

— ბოლშევიკურმა პარტიამ საყვარელი ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბედნიერი ცხოვრება შეგვიქმნა მუშებს. საზიზღარ მტერს უნდოდა წაერთმია ჩვენთვის თავისუფლება, მონებად ვექციეთ. დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ომშიც გამარჯვებული გამოვედით. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენმა ქვეყანამ რაც შეიძლება მალე მოიშუშოს ომით მიყენებული ჭრილობები, კიდევ უფრო გაიზარდოს, გაძლიერდეს და გაიფურჩქნოს. ამიტომ მივცემთ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. ფაბრიკის დირექტორი ამხ. ე. ლავთაძე კითხულობს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვას.

ფოტო რ. აკოფოვისა

# საქართველოს მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან ბოლშევიკური პარტიის ისტორიულ მიმართვას

## ერთსულოვნად მივცემთ ხმას პარტიის ბრძნულ პოლიტიკას

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის საზეიმოდ მორთულ კლუბში უდიდესი აღფრთოვანებით ჩატარდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსების და მუშა-მოსამსახურეების მიტინგი.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ნ. აბაქოვმა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მიტინგს გააცნო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის მდივანმა ამხ. ი. გეტაშვილმა.

მიტინგზე პირველმა სიტყვა აიღო ქარხნის ძველმა მუშამ ოსტატმა გ. ამირგულოვმა.

— ჩვენმა სამშობლომ,—სთქვა მან, დიდი ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ამიტომ 10 თებერვალს სიხარულით მივალთ საარჩევნო ყუთთან და ხმას მივცემთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს—დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და სამშობლოს ერთგულ შვილს გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილს.

— უდიდესი სიხარულით მოველი საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს—10 თებერვალს,—სთქვა ახალგაზრდა ამომრჩეველმა სტახანოველმა ზეინკალმა ირაკლი მაჩაბელმა,—როცა საარჩევნო ყუთთან მივალ და ხმას მივცემ ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 300 პროცენტით შევასრულო.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი სამამულო ომის დღეებში პატრიოტული თავდადებით მუშაობდა ფრონტის საჭიროებისათვის,—ამბობს დურგალი ოსტატი მიხეილ მენაბდიშვილი,—ახლაც ენერგიულად ვმუშაობ, რათა ჩვენი გამარჯვებული ქვეყნის სოფლის მეურნეობას და მრეწველობას გეგმის გადამეტებით მივცეთ პროდუქცია. პირობას ვდებ ყოველდღიური გეგმა შევასრულო 150 პროცენტით. 10 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში სამშობლოს ღირსეულ შვილებს ავირჩევთ. ამით ჩვენ ხმას მივცემთ ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მთელი საბჭოთა ხალხის პირველ კანდიდატს დიდ სტალინს!

ორატორის სიტყვებს მქუხარე ტაში ჰფარავს.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოსთქვეს და ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს ხარატებმა ბ. კვატაშიძემ და ვ. ამირგულოვმა, ზეინკალმა შ. ომანიძემ, ინჟინერ-კონსტრუქტორმა გ. კარაპეტიანმა და ორთქლის უროს მემანქანემ ვ. ერემოვამ.

## უსაზღვროა ჩვენი სიყვარული და ნდობა ბოლშევიკების პარტიისადმი

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშებს, მოსამსახურეებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომლებიც მიტინგზე შეიკრიბნენ, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვის ტექსტი წაუკითხა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანმა ამხ. იავრიანმა.

პირველი სიტყვა ეძლევა საამქროს უფროსს ამხ. ა. ფეიქრიშვილს.

— ჩვენ, მუშები, უსაზღვროდ ვენდობით ბოლშევიკების პარტიას. მისი ხელმძღვანელობით, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა. ჩვენ მზად ვართ ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

ტრიბუნაზეა ახალგაზრდა ამომრჩეველი, სტახანოველი მუშა თ. ლოპინა. ის ამბობს:

— საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ნათქვამია:

„ვისაც სურს, რომ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრება კიდევ უფრო უზრუნველყოფილი და კულტურული იყოს, ვინც ესწრაფვის ჩვენი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობას, ის ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს".

ეს სურს ყველა საბჭოთა ადამიანს. ამისათვის დაიღვარა ზღვა სისხლი, ამისათვის იბრძვის და შრომობს ჩვენი ხალხი. ამიტომ ყველა ჩვენგანი უყოყმანოდ მისცემს ხმას დასახელებულ კანდიდატებს. ამხ. თ. ლოპინა კისრულობს გეგმა 180 პროცენტით შეასრულოს.

მეორე კორპუსის სტახანოველმა მუშამ ა. ბეგიაშვილმა მთელი კოლექტივის ნება-სურვილი გამოხატა, როცა განაცხადა:

— 10 თებერვალს, ჩვენი ხალხისათვის ამ საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეს, ყველანი უკლებლივ გამოვცხადდებით საარჩევნო უბნებში და ერთსულოვნად მივცემთ ხმას მოწინავე ადამიანებს, სახელოვან საბჭოთა პატრიოტებს. ეს იქნება იმ უდიდესი ნდობისა და სიყვარულის გამოხატულება, რომლითაც გამსჭვალულია ყველა საბჭოთა ადამიანი ბოლშევიკების პარტიისადმი, ჩვენი გამარჯვების შემოქმედის დიდი სტალინისადმი.

## ჩვენ გვინდა საბჭოთა სახელმწიფო კიდევ უფრო მძლავრი იყოს

საღამოს ხუთი საათია. საყვირის ხმა გაისმა. კალინინის ქარხნის საამქროებში შესწყდა მუშაობა. მუშა-მოსამსახურეები სახელდახელო მიტინგზე შეიკრიბნენ. კალინინელებმა ჯერ კიდევ დილით ადრე მოისმინეს რადიოთი საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა. ახლა ისინი მიტინგზე მოვიდნენ, რათა კოლექტიურად გასცნობოდნენ მიმართვის ტექსტს.

— პარტია მოგვიწოდებს ყველანი ერთსულოვნად გამოვცხადდეთ საარჩევნო ყუთებთან და ჩვენი ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამ მოწოდებას ჩვენ შევასრულებთ. ვკისრულობ ყოველდღიური დავალება 500 პროცენტით შევასრულო.—აცხადებს თავის სიტყვაში სტახანოველი მრანდავი ამხ. ნ. პავლოვი.

— ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე,—სთქვა მიტინგზე სტახანოველმა მჭედელმა ამხ. დოხოლოვმა, — მოგვიტანა ბოლშევიკური პარტიის სწორმა პოლიტიკამ, საბჭოთა ხალხების ურღვევმა სტალინურმა მეგობრობამ, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გენიამ. ამიტომ ენდობა მთელი ხალხი ჩვენს პარტიას, ამიტომ ყველა ამომრჩეველი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამ სასიხარულო დღეებში პირობას ვიძლევი ყოველდღიურად 4 ნორმა შევასრულო.

ასეთივე ვალდებულებანი იკისრეს სტახანოველმა მჭედელმა ამხ. აზატოვმა, მლარეველმა ვ. პავლოვმა, მჭედელმა სუთარიხინმა, მეუროვე ამხ. მიქაძემ, ზეინკალმა ამხ. კოპალაძემ და სხვებმა.

კალინინელებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ქარხანა პირველი კვარტალის გეგმას შეასრულებს 105 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებას გაზრდის 5 პროცენტით, გამოუშვებს უფრო მეტ ფართო მოხმარების საგნებს.

მიტინგი დამთავრდა. ქარხნის საამქროებმა ისევ მძლავრად დაიწყეს გუგუნი. სტახანოველებმა ენერგიული შრომა გააჩაღეს, რათა ახალი წარმატებით შეხვდნენ არჩევნების დღეს 10 თებერვალს.

### სსრ კავშირთან მეგობრობის რუმინეთის საზოგადოების დეპეშა ბუქარესტიდან. საქართველო. თბილისი.

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს

რუმინელი ხალხი ჯერ კიდევ იმყოფება იმ ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ, რაც მასზედ მოახდინა თბილისის „დინამოს" უმაღლესი კლასის სასპორტო დელეგაციის ჩამოსვლამ და თამაშმა.

სსრ კავშირთან მეგობრობის რუმინეთის საზოგადოების სახელით ჩვენ გულითად მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ თქვენ ამით შემთხვევა მოგვეცით გავცნობოდით და დაგვეფასებინა ქართველი ხალხი.

ამ სასპორტო შეჯიბრებებს ჩვენ ვაფასებთ, როგორც იმის დამადასტურებელს, რომ ხორციელდება დასახული მიზანი—ჩვენს ორ ქვეყანას შორის მომავალში ურთიერთ კულტურული გაცვლა-გამოცვლისა და სხვა სახის ურთიერთობის დამყარება.

**საზოგადოების პრეზიდენტი**
**პროფესორი დოქტორი**
**კ. პარხონი**
**გენერალური მდივანი მაგერუ**

## საკდესი უარყოფს

ამ დღეებში საზღვარგარეთულ პრესაში, კერძოდ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში", გამოქვეყნდა ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირს წინადადებით მიემართოს ისლანდიის მთავრობისათვის იჯარით გადმოეცა მისთვის სეიდიზფიორდის ბაზა, რომელიც ისლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა მოგონილია და სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს.

# ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი შვილი

### (ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირზე)

სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი გაიჭედა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ამომრჩევლებით. ისინი მოვიდნენ, რათა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მზადყოფნა ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ჩერქეზია, ქვლივიძე, ყორყიაშვილი, გენერალ-მაიორი პარხომენკო, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. ერისთავი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე, პროფესორები ზურაბაშვილი, ღამბარაშვილი, გმირი დედა ბახტაძე და სხვები.

თათბირს მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის ნდობით აღჭურვილი პირი პროფესორი კ. ერისთავი.

— ძვირფასო ამხანაგებო,—მიმართა მან ამომრჩევლებს,—სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ჩვენი ქვეყანა ხვდება უმაგალითო გამარჯვებათა ვითარებაში. ხალხის ასეთი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა ისტორიას არ ახსოვს. ჩვენი სოციალისტური ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია ხელიხელჩაკიდებულნი, მტკიცედ შემჭიდროებულნი იბრძოდნენ ვერაგ მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ასევე ერთსულოვნად ემზადებიან ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ამ საზეიმო დღეებში ყველა ჩვენგანის ფიქრი მიპყრობილია კაცობრიობის მხსნელის, ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინისაკენ. მადლობისა და უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულმა საბჭოთა ხალხმა დიდი სტალინი ერთსულოვნად დაასახელა თავის პირველ კანდიდატად.

იცოცხლოს და იდღეგრძელოს ჩვენი ქვეყნის მხსნელმა მშობლიურმა სტალინმა! (ხანგრძლივი ტაში).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქართველმა ხალხმა უდიდესი სიყვარულით დაასახელა დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ქართველი ხალხის საამაყო შვილი, ჩვენი რესპუბლიკის აყვავების და დაწინაურების ორგანიზატორი ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. მის სახელთან დაკავშირებულია ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცება, კავკასიის გმირული დაცვის სტალინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელება.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ლავრენტი ბერიას! (მქუხარე ტაში).

საქართველოს მშრომელები ამაყობენ იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკას სათავეში უდგას ლავრენტი ბერიას აღზრდილი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი. ამხანაგი ჩარკვიანი მშრომელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მას დიდი დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკის ზრდასა და განვითარებაში. სამამულო ომის წლებში იგი ხელმძღვანელობდა და რაზმავდა საქართველოს მშრომელებს მტერზე გამარჯვებისათვის.

ნება მიბოძეთ მივესალმო ქართველი ხალხის ერთგულ შვილს კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს. (ტაში).

ჩვენს რაიონში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის სახელოვანი პედაგოგი თამარ მიხეილის-ასული მათიაშვილი. ჩვენი რაიონის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის კანდიდატურას. ეჭვი არ არის, რომ ისინი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ღირსეულ კანდიდატს ამხ. მათიაშვილს. (ტაში).

ამხ. კ. ერისთავი თათბირს გახსნილად აცხადებს.

შემოდის წინადადება საპატიო პრეზიდიუმის არჩევის შესახებ.

— დიდი **სტალინი!**

დარბაზში მქუხარე ტაში გაისმის. ყველანი ფეხზე დგებიან. ისმის შეძახილები: — „გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორს დიდ **სტალინს!**", „გაუმარჯოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედს ბრძენ სტალინს"!

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშითა და ოვაციებით ირჩევენ აგრეთვე ამხანაგებს მოლოტოვს, კალინინს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს, ანდრეევს, მიქოიანს, ჟდანოვს, ხრუშჩოვს, ბერიას, შვერნიკს, მალენკოვს, ვოზნესენსკის, ჩარკვიანს.

სიტყვა ეძლევა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსან სტახანოველს მამაჯანოვას.

— ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა, — სთქვა მან, — თავის წინასაარჩევნო კრებაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი აღფრთოვანებით დაასახელა ქართველი ხალხის საყვარელი შვილი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.

ამხანაგმა ჩარკვიანმა თანხმობა განაცხადა კენჭი იყაროს ჩვენს საარჩევნო ოლქში. ამ ცნობამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენს კოლექტივში. ფაბრიკაში ფართოდ გაიშალა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით დაწინაურდა საქსოვი საამქრო, რომელსაც წინათ ბევრი ნაკლი ჰქონდა მუშაობაში. დიდი მიღწევები მოიპოვეს სტახანოველებმა კალმახელიძემ, ბარათაშვილმა და სხვებმა.

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივმა დამავალა გადმოგცეთ, რომ 10 თებერვალს უკლებლივ გამოვცხადდებით საარჩევნო ყუთებთან და ხმას მივცემთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს.

სიტყვა წარმოსთქვა გენერალ-მაიორმა პარხომენკომ.

— ჩვენ დღეს საზეიმო ვითარებაში შევიკრიბეთ. ჩვენმა ქვეყანამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით გაანადგურა ვერაგი მტრები—გერმანელი ფაშისტები და იაპონელი იმპერიალისტები. ახლა აქ მოვედით, რათა გამოვხატოთ ჩვენი მზადყოფნა — ხმა მივცეთ საბჭოთა ხალხის სახელოვან შვილებს, ლენინ-სტალინის საქმისადმი ერთგულ ადამიანებს.

ორატორი ლაპარაკობს დიდი სტალინის დამსახურებაზე ჩვენი სამშობლოს აყვავების, გაძლიერებისა და გამარჯვების საქმეში.

— ამხანაგო ამომრჩეველნო! ჩვენ შევიკრიბეთ, რათა გამოვუცხადოთ ნდობა დეპუტატობის კანდიდატებს ამხანაგებს — კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს და თამარ მიხეილის-ასულ მათიაშვილს.

ამხანაგი ჩარკვიანი საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელია. მას დიდი დამსახურება მიუძღვის რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული აყვავების საქმეში. სამამულო ომის დღეებში ამხანაგი ჩარკვიანი იყო ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი და დიდ მუშაობას ეწეოდა ჩვენი შეიარაღებული ძალების გაძლიერებისათვის.

ორატორი მოუწოდებს ორჯონიკიძის რაიონის ამომრჩევლებს ხმა მისცენ ამხანაგებს კ. ჩარკვიანსა და თ. მათიაშვილს.

შემდეგი სიტყვა ეძლევა გმირ დედას ბარბალე ბახტაძეს.

— თორმეტი შვილის დედა ვარ. შვიდი ვაჟკაცი გავამგზავრე სამამულო ომის ფრონტზე. მათ ღირსეულად დაიცვეს სამშობლო. ჩემი ხუთი ქალიშვილი ფაბრიკაში მუშაობდა. ისინი ზურგში თავდადებული შრომით ეხმარებოდნენ ფრონტს. ჩვენ გავიმარჯვეთ. ომგადახდილი ვაჟები მშვიდობით დამიბრუნდნენ. მე დამაჯილდოვეს „გმირი დედის" ორდენით. მადლობა დიდ სტალინს დედების დაფასებისათვის, მადლობა ბელადს ჩვენი ხსნისა და გამარჯვებისათვის. ჩემი ოჯახის მთელი შემადგენლობა 10 თებერვალს სიხარულით მივალთ საარჩევნო ყუთებთან და ერთსულოვნად მივცემთ ხმას ქართველი ხალხის სახელოვან შვილს კანდიდ ჩარკვიანს და მასწავლებელ თამარ მათიაშვილს.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, სტალინური სტიპენდიანტი, სამამულო ომის მონაწილე ამხ. მისაბიშვილი ლაპარაკობს იმ მზრუნველობის შესახებ, რასაც ამხანაგი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი იჩენს სტუდენტებისადმი და ახალგაზრდა ამომრჩევლებს მოუწოდებს ერთსულოვნად მისცენ მას ხმა.

სიტყვა ეძლევა დოცენტ ნ. ცომაიას. იგი ლაპარაკობს ქართველი ხალხის წინაშე ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის დამსახურებაზე.

— ამხანაგ ბერიას მიერ დაწყებული საქმე სასახელოდ განაგრძო ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულმა შვილმა ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა რესპუბლიკამ დიდი წვლილი შეიტანა ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

ამხანაგი ჩარკვიანი უდიდეს მზრუნველობას იჩენს სახალხო განათლების საქმისადმი, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისადმი. მას ჩვენი პედაგოგები და სტუდენტები დიდი სიყვარულით იხსენიებენ. ჩვენ ყველა ერთსულოვნად ხმას მივცემთ ამხანაგებს ჩარკვიანსა და მათიაშვილს.

ექიმმა მესხმა ილაპარაკა ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მისცენ მას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა თამარ მიხეილის-ასულმა მათიაშვილმა პირობა მისცა ამომრჩევლებს, რომ კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას მოსწავლე ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. თ. ქვლივიძემ. მან რწმენა გამოსთქვა, რომ 10 თებერვალს რაიონის ამომრჩევლები უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო უბნებში და ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

თათბირმა მიიღო მიმართვა ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ამომრჩევლებისადმი.

უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული მისალმებანი ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისა და ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლ. ბერიასადმი.

# დიდ სტალინს გამარჯვებათა გზით მივყავართ

### (სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა პირველ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე 1931 წლის 4 თებერვალს ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვის 15 წლისთავი)

ჩვენმა სამშობლომ მრავალი სიძნელე, მრავალი მძიმე პერიოდი განვლო, სანამ დღევანდელ დიდებას მიაღწევდა. იყო რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების ქარცეცხლში დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენითი პერიოდი. მას მოჰყვა რეკონსტრუქციის პერიოდი: ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, სახელოვანი სტალინური ხუთწლედები...

დიდი **სტალინი** მიუძღოდა მტკიცედ და შეუდრეკლად ჩვენს ხალხს ამ ძნელსასვლელ, რთულ გზაზე.

„სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის გასაღებს წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის განვითარების სწრაფი ტემპი", — გვასწავლიდა დიდი სტალინი 1929 წელს, პირველი ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის გაჩაღებისას.

1931 წლის თებერვალში მოსკოვში პირველ სრულიად საკავშირო თათბირზე შეიკრიბნენ სოციალისტური მრეწველობის მუშაკები, რომლებმაც განიხილეს მრეწველობის საკონტროლო ციფრები 1931 წლისათვის. ამ კონფერენციაზე დიდმა სტალინმა წარმოსთქვა სიტყვა სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ. ეს სიტყვა სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა ყოველდღიურ სამოქმედო პროგრამად გადაიქცა.

ამხანაგმა სტალინმა მაშინ მიუთითა ჩვენს ხალხს: იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ პირველი ხუთწლედის 4 წელიწადში, ხოლო ძირითადი და გადამწყვეტი დარგების მიხედვით 3 წელიწადში შესრულება, საჭიროა ორი პირობა: ჯერ-ერთი, საჭიროა რეალური შესაძლებლობანი და მეორე — საწარმოთათვის ისეთი ხელმძღვანელობის გაწევის სურვილი და უნარი, რომ ეს რეალური შესაძლებლობანი მთლიანად იქნას გამოყენებული. გეგმის შესრულების რეალური შესაძლებლობანი ჩვენში იყო, მაგრამ ამასთან ბელადი აღნიშნავდა, რომ „გვაკლდა არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების უნარი. გვაკლდა ქარხნებისათვის, ფაბრიკებისათვის, მაღაროებისათვის სწორი ხელმძღვანელობის გაწევის უნარი".

„ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. ტექნიკა რეკონსტრუქციის პერიოდში ყველაფერს სწყვეტს!"

ასეთი იყო ის ცხოველმყოფელი ლოზუნგი, რომელიც როგორც დროშა ხელთ მისცა ბოლშევიკურ პარტიას მისმა ბრძენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

და ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ამ ტექნიკის ათვისებისათვის. განვლეს წლებმა. ჩვენი მრეწველობა აღიჭურვა ახალი ტექნიკით, რომელიც გახდა სტახანოვური მოძრაობის წარმომშობ ერთ-ერთ წყაროდ.

1935 წლის 4 მაისს წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე ბელადი გვეუბნებოდა: „დროა ბოლოსდაბოლოს, გავიგოთ, რომ მთელი იმ ძვირფასი კაპიტალებიდან, რომლებიც მსოფლიოში მოიპოვება, ყველაზე ძვირფას და ყველაზე გადამწყვეტ კაპიტალს წარმოადგენენ ადამიანები, კადრები. უნდა გავიგოთ, რომ ჩვენს ახლანდელ პირობებში „კადრები სწყვეტენ ყველაფერს".

და ბოლშევიკებმა გააჩაღეს ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისათვის, ტექნიკას დაუფლებული კადრების აღზრდისათვის. ამას მოჰყვა შედეგად მძლავრი სტახანოვური მოძრაობა.

* * *

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ენტუზიაზმითა და აღფრთოვანებით მოელიან საქართველოს მშრომელნი დიად თარიღს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 10 თებერვალს. სიამაყით მივლენ ამ დღეს მშრომელები საარჩევნო ყუთებთან, რათა ხმა მისცენ ხალხის რჩეულ შვილებს — ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს. ყველამ იცის, რომ მისცემს რა ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამით ხმას აძლევს ხალხთა ბელადს ამხანაგ სტალინს, ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს, ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობასა და წინსვლას. ყველამ იცის რას წარმოადგენდა წინათ საქართველო როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის მხრივ და რას წარმოადგენს ახლა. იციან ეს ჩვენმა მუშებმა, კოლმეურნეებმა, მშრომელმა ინტელიგენციამ.

თბილისში ახლა გვაქვს მძლავრი მანქანათმშენებლობა. 1931 წლამდე ახლანდელი მანქანათმშენებელი ქარხნები — 26 კომისრის სახელობისა, ორჯონიკიძის სახელობისა და სხვ. ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ შეუდარებლად ჩამორჩენილი იყვნენ.

**26 კომისრის** სახელობის ქარხანაში 1931 წლამდე ამზადებდნენ უმთავრესად ჩაის მრეწველობისათვის და ნაწილობრივ აბრეშუმის მრეწველობისათვის საჭირო პრიმიტიულ მოწყობილობას. პირველი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ახალი ტექნიკური აღჭურვილობის გამართვის შედეგად, ქარხანაში უკვე აითვისეს საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო მანქანების წარმოება.

ქარხანაში აღიზარდნენ შესანიშნავი კადრები, რომლებმაც წინ წასწიეს ტექნიკა, შესძლეს არსებულ ტექნიკურ ბაზაზე ახალი მანქანებისა და მოწყობილობის დამზადების მოწყობა. ტექნიკის ათვისებისა და კადრების აღზრდის შედეგებმა განსაკუთრებით იჩინეს თავი სამამულო ომის წლებში, როდესაც ქარხანა გადაყვანილ იქნა მშვიდობიანი დროის მუშაობიდან საომარი დროის შესაფერის მუშაობაზე.

ახლა ეს ქარხანა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია მთელ საქართველოში. 1931 წლამდე ქარხანა ყოველთვიურად უშვებდა 350.000 მანეთის პროდუქციას, ახლა კი ქვეყანას ყოველთვიურად აძლევს 1 მილიონი მანეთის მანქანებსა და მოწყობილობას.

განხორციელდა **ორჯონიკიძის** სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება. ახლა ეს ქარხანაც სამჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე 15 წლის წინათ.

არსებული ქარხნების რეკონსტრუქციასა და გაფართოებასთან ერთად სტალინური ხუთწლედების განმავლობაში თბილისი გამდიდრდა ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა შესაფერისად გამართული, უახლესი მანქანებით, დაზგებითა და მოწყობილობებით აღჭურვილი ახალი საწარმოებით. თბილისს შეემატა ავტოსარემონტო ქარხანა, დაზგათმშენებელი ქარხანა, ფოლად-თუჯის სამსხმელო საწარმო და მრავალი სხვა.

**კიროვის** სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა ამუშავდა 1929 წელს. პირველ ხანებში აქ ამზადებდნენ ნავთის ჭაბურღილებისათვის საჭირო მოწყობილობას, მაგრამ მრეწველობის შემდგომი სწრაფი წინსვლის ინტერესმა მოითხოვა დაეწყოთ დაზგათმშენებლობა. 1936 წელს ამ ქარხნიდან პირველად გამოვიდა ჭანჭიკების საჭრელი დაზგა, რომელიც 240-მდე დეტალისაგან შესდგება. ქარხანას უფრო რთული დაზგების გამოშვებაც შეეძლო, მაგრამ საამისოდ საჭირო იყო კადრები. ტექნიკის ათვისებისათვის, ახალი კადრების აღზრდისათვის გაწეულმა შრომამ მალე მოგვცა ნაყოფი. 1937 წელს აქ შესძლეს ოთხი ცალი ახალი ტიპის დაზგის (დაზგა „91-61") გამოშვება. თუ 1936 წელს ქარხანამ 2 მილიონ მანეთზე ცოტა ნაკლები ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, 1937 წელს აქ უკვე მოგვცეს 3.195.000 მანეთის დაზგები.

1940 წელს კიროველი დაზგათმშენებლები ქვეყანას აძლევდნენ ცხრა სხვადასხვა ტიპის დაზგებს.

თბილისში ახლა ათვისებულია მთელი რიგი ისეთი რთული ტექნიკური დანადგარების, დაზგებისა და მოწყობილობის დამზადება, რომლებიც სიახლეს წარმოადგენენ საერთოდ ტექნიკაში. ერთ-ერთი ასეთი სიახლეა ერთფაზიანი დენის ელექტრომავლების დამზადება.

საბჭოთა კავშირის მაგისტრალურ რკინიგზებზე, როგორც ცნობილია, დღემდე ელექტროწევისათვის მიღებული იყო მუდმივი დენის სისტემა 3.000 ვოლტის ძაბვაზე. რკინიგზის ელექტროფიკაციის საკითხებზე მოწვეულმა კონფერენციამ უფრო რაციონალურად სცნო, რომ შემოღებულ იქნას ერთფაზიანი დენის სისტემა ბევრად უფრო დაბალი (2.000—2.200 ვოლტის) ძაბვისა. ერთფაზიანი ცვლადი დენის გამოყენებას ელექტროწევის დარგში მრავალი უპირატესობა აქვს. ვღებულობთ ფერადი ლითონისა და სპილენძის დიდ ეკონომიას, მცირდება ქვესადგურთა რაოდენობა და შესამჩნევად კლებულობს რკინიგზის ტრანსპორტის საექსპლოატაციო ხარჯი.

ერთფაზიანი ცვლადი დენის ხაზებზე სამუშაოდ საჭიროა სპეციალური ელექტრომავალი. ასეთი ერთფაზიანი დენის ელექტრომავლების გამოშვების ათვისება იკისრა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საელმავლო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ამხ. ა. მასხარაშვილი ხელმძღვანელობს. პირველი ასეთი ელექტრომავალი უნდა გამოუშვან წელს.

ამგვარად, წელს ჩვენში მუდმივი დენის ელექტრომავლების გვერდით, ერთ-ერთ ახალ სარკინიგზო ხაზზე იმუშავებენ ცვალებადი დენის ერთფაზიანი ელექტრომავლები და იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ქვეყნის ტრანსპორტელ-სპეციალისტთათვის ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი საკითხი საბოლოოდ და პრაქტიკულად გადასწყდეს—რა სჯობია გვქნეს სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით: მუდმივი დენის თუ ცვალებადი დენის ელექტრომავლები.

მრავალი სხვა ტექნიკური სიახლის ათვისებაზე შრომობენ და მუშაობენ ახლა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის კადრები. მათ ეს მუშაობა ასწავლეს, ისინი აღზარდეს და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით გამოაწრთეს ლენინ-სტალინის პარტიამ, დიდმა სტალინმა და მისმა უერთგულესმა მოწაფემ, ქართველი ხალხის საამაყო შვილმა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიამ.

**დ. ამირანიძე**

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ

# სახალხო არტისტი და საზოგადო მოღვაწე

აკაკი ხორავა რუსთაველის თეატრის სცენაზე ვ. სოლოვიოვის ისტორიულ დრამაში „დიდი ხელმწიფე“ …ლებს მეფე ივანე მრისხანის …ს. ეს ტრაგედიული სახე მთელი …სით აჩენს შემოქმედი მსახიობის …ებას.

რამდენიმე სცენა გავიხსენოთ.

დედოფალ მარიამის (ნ. ლაფაჩი) …ოთახი. ბორის გოდუნოვი (გ. …თაშვილი) ხელმწიფე ივანეს ურ… დედოფალს გაეყაროს და ინგლისის მეფეს სთხოვოს ჰასტინგსის …ქალის ხელი. ივანე მრისხანე ის… ახალგაზრდა დედოფალს ეალერსებოდა. აქვეა ხელმანდილი, რითაც საყვარელ ქმარს ცოლმა სათამაშოდ …ლები აუხვია. ა. ხორავა—დიდი ხელმწიფე აენთება: „შენ ჭკუაზე ხარ, ბოიარინ?“ გოდუნოვი მოაგონებს მეფეს ალყაშემორტყმულ ფსკოვსა და ნოვგოროდს. ხელმწიფე შეინძრა, …ზობს: „რათ გამახსენე მე ეგ ახ…?“ აშკარაა, რომ მეფემ თავისი პირადი ბედნიერება მტლედ უნდა დაუ…, ანაცვალოს სახელმწიფოს ინტერესს. ამის შეგნება მეფეს კიდევ უფრო მეტად აწრიალებს: „დამეკარგე… არ განახოთ თვალით“. გოდუნოვი მეფეს არ ეშვება, ინგლისის ელჩს …მოავახსენოო.

ხელმწიფემ მიმოიხედა, თითქოს სა… ეძებსო, და უცბად დედოფლისეულ ხელმანდილზე დარჩა თვალი. …წვდა, აიღო, გულში ჩაიკრა. თითქოს ეშინია, დედოფალი არ დაჰკარგოს და მის ხელმანდილს, მათი სატრფიალო თამაშობის ნიშანს ეალერსება. გოდუნოვი არ ცხრება: „თუ ლაპარაკი დაუწყეთ ინგლისის იმ პრინცესაზე, თუ …გეს აგრეთვე მტრებმაც… ჩვენ …თ ვნახავთ დიდ სარგებლობას“. …ტანელი სიჩუმე ჩამოწვა. ხორავას სახეზე, ბუდიდან ამოცვივნულ თვალებში, მთელი სხეულის შეკუმშვით …ძრაობაში იხატება სულის შემძვრელი … ჰიდილი სახელმწიფოსადმი მოვალეობის შეგნებასა და პირად, სანუკვარ გრძნობას შორის. აი გაისმის გულიდან ამოშხეთქილი ხმა ხელმწიფისა: „თუ კი საქმე მოითხოვს, კაცნი …ალე იმ პრინცესას“—და თითები კი …რეულობენ, დედოფლისეულ ხელმანდილს ეხვევიან, თითქოს დედოფალს გამოუვალ მდგომარეობას უხსნიან, პატიებას სთხოვენ და თანაც …მშვიდებენ. ერთსა და იმავე დროს აკაკი ხორავას მეფე ივანე სიტყვით სცენაზე მყოფ გოდუნოვს ესაუბრება, ხოლო ხელის საოცრად მეტყველი …ით კი იქ არმყოფი დედოფლისადმი თავის მდუღარე გულისთქმას …ნს. ილია ჭავჭავაძის სიტყვით რომ ვთქვათ: „ვხედავთ, რომ ამ გაწირვამ …ში ერთი უმთავრესი ძარღვი ჩასწყვიტა გამწირველსა, ერთი დიდი რამ …აკლო, ძნელად გასაწირი, ძნელად …სამეტებელი, ძნელად დასათმობი ადამიანისაგან“. უეცრად კარი გაიღო და გულწასული დედოფალი ძირს და…რდა. ექიმისადმი მეფე ივანეს მრისხანებით მგრგვინავ შეძახილში: „რას …შტერდი… უშველე რამეო“ — …ისმოდა ბრძანებაც, მუდარაც და ბედის გმობაც.

კრემლი. სატახტო დარბაზი. ხელმწიფე ივანე სამეფო ტახტზეა. იქვე უფლისწულები. მარცხნივ და მარჯვნივ ბოიარინები. პოლონეთის მეფის ელჩის მიღება. ელჩი თავხედობს. თავის მეფეს უკრაინის გეტმანად, ნოვგოროდის, ფსკოვის და სმოლენსკის მფლობელ მთავრად იხსენიებს. ბოიარინები თავს ვერ იკავებენ. გაისმის აღშფოთებული ხმები. ა. ხორავა—დიდი ხელმწიფე ერთი გადმოხედვით, ერთი სიტყვის თქმით ხმას გაუკმენდს ბოიარინებს. სიჩუმით მოცულ დარბაზში ისმის მეფის კრიალოსნის მშვიდი მარცვლა და მშვიდი სიტყვა ელჩისადმი: „ჯერჯერობით ხომ რუსებს ეკუთვნით ქალაქი სმოლენსკი, ნოვგოროდი და ფსკოვი“. ელჩი არ ცხრება, სრულიად რუსეთის ხელმწიფეს ქირდვით იხსენიებს მოსკოვის მეფედ. ბოიარინებში ჩოჩქოლია. ხორავა—ხელმწიფე ჩუმი შეძახილით ჩააქრობს რუს დარბაისელთა ბობოქრობას. ისევ გარკვევით ისმის მეფის კრიალოსნის მშვიდი მარცვლა და მშვიდი სიტყვა.

ელჩი ისევ გამომწვევად უტიფრობს. მეფეს გადაკვრით მხდალი და ლაჩარი უწოდა. ხორავა—დიდი ხელმწიფე ბოიარინებს აწყნარებს, მშვიდადაა, კრიალოსანს მარცვლავს და ელჩს საქმისაკენ მოუხმობს. ელჩი პოლონეთის მეფის წერილს—შეურაცხმყოფელს, თავხედად კითხულობს. გადიდგულებული მისი მეფე ბატორი …მალში პირისპირ იწვევს სრულიად რუსეთის ხელმწიფეს. ელჩი გამოწვევის ნიშნად ტახტისკენ ისვრის რკინის ხელთათმანს. გულთამხილავი სიჩუმეა. ხორავას—ხელმწიფის ხელში კრიალოსანი დაწყდა… დაიბნა. გულის შემზარავი წკრიალით მოცვივა მძივები საფეხურიდან საფეხურზე. მსახიობის სახეზე ერთი კუნთიც არ შეთამაშებულა, სხეულიც არ შეძრულა.—მაშ, მაყურებელს ჟრუანტელი რათ უვლის, გულისცემა რათ უჩერდება? ა. ხორავამ დიდი ხელმწიფის მრისხანება მცირე მონახაზით ისე სახიერად, ისე ცოცხლად და დამაჯერებლად გამოხატა, რომ მთელი დარბაზი შესძრა.

ელჩმა დარბაზი დასტოვა. ბოიარინები ბობოქრობენ. შეურაცხმყოფელ მტერზე ლაშქრობას მოითხოვენ. ხორავა — მეფე ივანე — გაბრაზდა: „თვით მე, ხელმწიფე, დამცირებას შევხვდი მოთმენით, რომ ამით ვიხსნა დაღუპვისაგან წმიდა რუსეთი და თქვენ ნიშანს მიგებთ, თქვენ, მონები, ვითომ თავს იდებთ ჩემზე მეტად?“. ბოიარინები უფლისწულთან (გ. გეგეჭკორი) ერთად ისევ გალაშქრებას მოითხოვენ. განრისხებული მეფის მიერ თავდავიწყებით უკუგდებულმა კვერთხმა მისი საყვარელი ძე იმსხვერპლა. მშობელი მამის ვაებითა და გოდებით, გონების შეშლის გამომეტყველი თვალებით ა. ხორავამ ჩვენს თვალწინ სულიერი ქარტეხილის რეპინისეული სურათი დაგვიხატა.

იონა ტუსკიას ნამდვილი არტისტული გზნების მუსიკა გვამზადებს კიდევ უფრო მწვავედ განსაცდელი სცენისათვის. ფარდა ნელი რხევით იხსნება და მხატვარი ს. ვირსალაძე აგრძელებს ორკესტრის (დირიჟორი ვ. გეჯაძე) და გუნდის მიერ დარხეულ გლოვის ჰანგს. მაღალ კვარცხლბეკზე უფლისწულის ცხედარი ასვენია. აქედან მძიმე ძაძა, ღრმა ნაოჭებით დაკერილი, დაბლა მოედინება, ძირს იშლება, თითქოს გლოვა-გოდებამ მოიცვა ყოველივე. კაცის სიმაღლე შანდლებზე კელაპტარის შუქი ირხევა. უკან კედელზე ფრესკის ფრაგმენტი სისხლისფრად მოჩანს. სულთათანა მოისმის.

კუთხეში ვარჩევთ ა. ხორავას—ცალ მხარზე ჩამოშლილ მოსასხამში გახვეულს, ძაძით მოსილ, შვილის მკვლელ მეფეს. მას ფსალმუნის კითხვით სურს მოიქარვოს უსაზღვრო მწუხარება, მონანიის ცოდვა ენით უთქმელი. უცბად ხმა გაუწყდა, თვალები მაღლით აღაპყრო, საჭეთმპყრობელი ხელით პირჯვარი ფართოდ გადაიწერა და სულიდან სიმწრით აღმოხდა სახელი უფლისწულისა—„ივან!“

ფსალმუნს მოსწყდა და ხელებგაშლით წამოიგმინა: „არცა სიკვდილს, არც ხალხის რისხვას არ მოუცია კაცისათვის ასეთი ტანჯვა“. მის სიტყვებში ისმის უსაზღვროდ უბედური ადამიანის სულის ქვითინი: „არ არის ჩემთვის პატიება, არა, არ არის!“ ისევ შვილის სახელი წამოიგმინა და სიმწრით მოცელილი ცხედრის კვარცხლბეკთან დაეცა. ძაძაზე მიყრდნობით წამომჯდარი ქვევიდან შვილის უსულო გვამს მოთქმით შეღაღადებს: „რომ ვიყო მხოლოდ დამნაშავე მე შენს წინაშე, განტევებას მოვიპოვებდი… მაგრამ ვაი რომ ცოდო ჩემი საშინელია…“ ეს სიტყვებიც აღმოხდა და მთელი სხეულით ძირს განერთხო—განადგურებული, გაცამტვერებული.

აი, თავი წამოიღო, ჩურჩულით იწყებს, სულს იბრუნებს და ხმას უმატებს: „ვით ჭიანჭველა გულით ხარბი აგროვებს საზრდოს… მეც ოცდაათი წლის მანძილზე ასე ვიქმოდი, და უმნიშვნელო სამთავროდან, სამეფოთაგან შევქმენ რუსეთის სახელმწიფო ყოვლად ძლიერი“. საკუთარი მოღვაწეობის, დიდი სახელმწიფოებრივი საქმის მოგონებამ ღონე შემატა, წამოიწია, მიმოიხედა. ირგვლივ ძაძები.—მისი მემკვიდრე აქ ასვენია. ახლა უკვე ხელმწიფემ და მამამ გულისშემძვრელი ხმით შესძახა: „და ვის გადავცე ეს სახელმწიფო, ჩემგან შექმნილი? ვის? შვილო ივან!“.

ხორავა—მეფე ზე წამოიჭრა. კვარცხლბეკის საფეხურები აირბინა, ზევიდან დევგმირული სხეულის სიმაღლით თავს წამოადგა ცხედარს და გლოვაგებად მგრგვინავი ხმით დაიქუხა: „დამნაშავე ვარ შენს წინაშე, ივან! ივან!“ ის დაემხობა შვილის ცხედართან; ხორავას განსახიერებით აქ მარტო პირმშოს დაკარგვის მწუხარება როდია გამოხატული. ჩვენ განვიცდით ხელმწიფის, დიდი ქვეყნის საჭეთმპყრობელის სულის ქარტეხილს. მან დაჰკარგა თავისი საქმის გამგრძელებელი. ამ სცენაში ა. ხორავამ საოცარი ძალით შეაერთა და ცოცხლად გამოჰხატა პირადი უბედურებისა და სახელმწიფოებრივი მარცხის სიმწვავე.

აი მსახიობმა თავი აიღო. არა, ეს მეფე ივანე აღარაა… ნუთუ რამდენიმე წამში შეიძლება სახე ამდენად შეიცვალოს… ჭკუიდან ხომ არ შეშლილა? საოცრად მეტყველებენ მისი თვალები. დაბალი ხმით, გულწრფელობით და უშუალობით ის მიმართავს შვილს და მემკვიდრეს… ახლა მას ჰგონია, რომ შვილი გვერდით უზის, თავზე ხელს უსვამს, მშობლიურად უყვავებს და თან ხელმწიფურად სახელმწიფო საქმეების გარიგებისათვის ბრძნულ რჩევას აძლევს. მარჯვენა ხელით საყვარელი შვილის სახეს—ხატს წარმოგვიდგენს, მარცხენა ხელით კი თავისავე მარჯვენას—უფლისწულად რომ ეჩვენება, ეალერსება, ესაუბრება, ეთათბირება… გულის შემძვრელი სცენაა.

ამ დროს სულთათანა გაისმის. მოაგონდება სიმძაფრით, გონებადაბნეულობით გასროლილი კვერთხი… შუბლზე ხელს გადისვამს, თითქოს ბურანს თავს აღწევს და გაისმის თავზარდამცემი შეძახილი: „მოვკალ! მოვკალ! ბოიარინებო! დარაჯებო!“ სავარძელზე გადმოწვა, თავი უღონოდ დაეშვა. გონს მოდის, უბედურს მიცვალებულთან ბაასი გაუბამს… ზე წამოიჭრა, მიმოიხედა, კვარცხლბეკიდან ჩამოირბინა, მოსასხამი მხარზე გადიგდო და მის ძახილზე შემოსულ ბოიარინებს შეჰყვირა: „თქვენ ვინა ხართ?—წადით, გამშორდით, მე აღარა მსურს თქვენზე მეფობა“. ხელმწიფე ისევ გონს ჰკარგავს, აზრი ერევა, მშობელი მამის უბედურებით და სახელმწიფოებრივი მარცხით მოცელილი ძირს ეცემა… შემდეგ სცენაში ხალხის მოთხოვნით დიდი ხელმწიფე ისევ სახელმწიფოს საჭესთან დადგება.

ა. ხორავა ამ როლში იცნობა თავისი მკვეთრად გამოსახული „ხელნაწერით“. მან გმირული სული და განსახიერების მონუმენტალობა შესძინა ამ პიესას ქართულ სცენაზე. ა. ხორავა ამ სპექტაკლშიც გამოირჩევა აქტიორული შემოქმედების მშობლიური იერით, გვახარებს ტექსტის თანადროული ღრმა გააზრებით და ყველასათვის გასაგები, უჩვეულოდ ცოცხალი წარმოსახვით. აკაკი ხორავას ივანე მრისხანე, მის ოტელოსთან ერთად, უთუოდ სცილდება ქართული თეატრის ფარგლებს და, საბჭოთა ხელოვნების საამაყოდ, გვერდში უდგება მსოფლიოში სახელგანთქმულ ტრაგიკოსთა სცენიურ ქმნილებებს.

• • •

აკაკი ხორავას, როგორც შემოქმედს, დიდად ამდიდრებს თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა. ის თავისი ქვეყნის პატრიოტი, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი და საზოგადო მოღვაწეა. აკაკი ხორავა, როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმის წევრი, რუსთაველის თეატრის პარტორგანიზაციის მდივანი, თეატრალური ინსტიტუტის დირექტორი და ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სტალინური პრემიების კომიტეტის წევრი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, სახელმწიფო სარეპერტუარო კომიტეტისა და რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიის წევრი, ხელოვნების დარგში სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა განხორციელების აქტიური მონაწილე—არაჩვეულებრივ ენერგიას, ინიციატივას და საქმისადმი სიყვარულს იჩენს.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ა. ხორავას ახალი თეატრალური კადრების მომზადების საქმეში. მისი ინიციატივით შეიქმნა და მუშაობს რუსთაველის სახელობის ქართული სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, რომელსაც ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის თეატრალურ სასწავლებელთა შორის.

ხალხი დიდად აფასებს მშობლიური სცენის სახელმოხვეჭილ ოსტატს და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს აკაკი ხორავას. ის ერთი იმ რჩეულთაგანია, რომელნიც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის სახელწოდებას ატარებენ. მან სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატობა მოიპოვა სცენაზე ოტელოსა და ეკრანზე დიდი მოურავის განსახიერებით.

ქართველი ხალხის საყვარელი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე აკაკი ხორავა დასახელებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

დიდი შემოქმედებითი ნიჭით, ბრწყინვალე ოსტატობით, სამშობლო ქვეყნისა და ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულებით აკაკი ხორავამ დაიმსახურა იყოს ხალხის რჩეული, ჩადგეს მათ შორის, ვინც საბჭოთა პარლამენტში უნდა გამოსთქვას ჩვენი ხალხის ნება-სურვილი.

**დ. ჯანელიძე**

# იანვრის გეგმა შეასრულეს

დიდი შრომითი აღმავლობაა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტში. ქვანახშირის ამოღების იანვრის 25 დღის გეგმა შახტმა 103,6 პროცენტით შეასრულა.

წინ მიდიან ვ. გვენეტაძისა და შ. …თაძის საექსპლოატაციო უბნები. პირველმა 24 დღეში 900 ტონის გადაჭარბებით შეასრულა იანვრის გეგმა. მეორემ ამავე ხნის განმავლობაში 2.400 ტონის ნაცვლად 3.000 ტონა ქვანახშირი მოიპოვა და იანვრის გეგმა ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულა.

კარგად მუშაობს მეორე საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ნ. ციცხვაია ხელმძღვანელობს. ამ უბანმა იანვრის 24 დღის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა.

ე. ყანჩაველის ცვლამ იანვრის 23 დღის გეგმა 163 პროცენტით შეასრულა და ქვეყანას მისცა 1.253 ტონა ქვანახშირი.

წარმატებებს აღწევენ შახტის მოწინავე ადამიანები: ახალგაზრდა მნგრეველი დავით ნემსაძე, მტვირთავები ო. რობაქიძე და ნ. ქოჩერაშვილი. მაგრამ ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს და პირველობას კვლავ მტკიცედ ინარჩუნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი შალვა ესტატეს-ძე ფურცხვანიძე. ამხ. შ. ფურცხვანიძე 200—250 პროცენტით ასრულებს ქვანახშირის მონგრევის ყოველდღიურ გეგმებს. 21 დღის გეგმა მან 238 პროცენტით შეასრულა.

**დ. ქათამაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# სასამართლო პროცესი ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების ბოროტმოქმედებათა საქმის გამო

**რიგა**, 29 იანვარი. (საკდესი). 28 იანვრის დილის სხდომაზე დაიწყო მოწმეთა დაკითხვა ბრალდებულ **ეკელნის** საქმის გამო.

ჩვენებას პირველი აძლევს მოწმე **ი. კ. აკმენსი** — რიგის უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, რომელიც გერმანული ოკუპაციის დროს დიდხანს იყო საპყრობილეში.

მოწმის ჩვენებით ირკვევა გერმანელების მიერ ბალტიისპირეთის მრავალ ფაშისტურ ჯურღმულში დაპატიმრებულ საბჭოთა მოქალაქეების გაჟლეტის საზარელი სურათი. ჰიტლერელები საპყრობილეებში ხელოვნურად ავრცელებდნენ ინფექციურ დაავადებებს, აშიმშილებდნენ ადამიანებს, შემდეგ კი ხვრეტდნენ. წამებით დახოცილი მრავალი საბჭოთა მოქალაქის გვამებს გერმანელები საპყრობილეთა ეზოებში მარხავდნენ. წამებით დახოცილ საბჭოთა პატრიოტებს შორის მოწმე ასახელებს ლატვიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ლეიკნისს, დრამატურგ მწერალ ლუქსს და სხვა საზოგადო მოღვაწეებს.

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე **ბერგი** — ელგავის ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

1941 წლის აგვისტოში, — აჩვენებს ბერგი, —გერმანელთა სარდლობის ბრძანებით ყველა, ვინც ჩვენს საავადმყოფოში იმყოფებოდა, ევაკუირებულ იქნა დაუგავპილსიდან აგლონში და მოთავსებულ იქნა პატარა ჰუტუიან შენობაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ შენობას ალყა შემოარტყა სს-ელთა რაზმმა, რომელმაც დახვრიტა 540 ავადმყოფი. 440 კაცი გერმანელებმა ერთ დღეს დახვრიტეს ელგავის საავადმყოფოში.

მოწმე **ე. ე. ბრიედისი**, ქალაქ რიგის 1-ლი საავადმყოფოს უფროსი ექიმი, აჩვენებს, რომ ბალტიისპირეთში გერმანელები ეკელნის ხელმძღვანელობით ფართო მასშტაბით ახორციელებდნენ ქალების სტერილიზაციას.

შემდეგ სასამართლო ისმენს გერმანიის არმიის გენერალ-მაიორის ლიტეს მთავარი საველე კომენდატურის უფროსის მოწმე **იუხტის** ჩვენებას. მოწმე აჩვენებს, რომ სს-ის და სდ-ის ნაწილები დიდ ოპერაციას ამზადებდნენ პარტიზანთა წინააღმდეგ მინსკ-ვილნიუსის რაიონში. პარტიზანებმა წინასწარ შეიტყვეს ეს და წავიდნენ განზრახული ოპერაციის რაიონებიდან. დიდ ტერიტორიაზე დარჩნენ მხოლოდ ბავშვები, მოხუცები და ქალები. სწორედ მათ დაატყდნენ თავს დამსჯელნი. ბადრაგით გარეკილ ადამიანთა მცირე რაოდენობის გარდა, ყველა დანარჩენი — მოხუცები, ქალები და ბავშვები მოსპობილ იქნენ. ყოველივე ეს, ამბობს მოწმე, ხდებოდა ეკელნის თანხმობითა და მოწონებით.

შემდეგ იუხტი სასამართლოს მოუთხრობს რაისკომისარ ლოზესთან გამართული თათბირის შესახებ, რომელზეც უკანასკნელმა განაცხადა, რომ ჰიტლერი და ჰიმლერი ძალიან უკმაყოფილონი არიან გერმანიაში სამუშაოდ ლატვიელების გაგზავნის დავალებათა შესრულებით, აგრეთვე გერმანიის არმიისათვის მიწოდებათა მსვლელობით. მაშინ, აჩვენებს მოწმე, წამოდგა ეკელნი და განაცხადა ჰიტლერისა და ჰიმლერის ეს უკმაყოფილება სავსებით გამართლებულია, ვინაიდან რეპრესიები, რომლებსაც ლიტვაში სს-ის, სდ-ის ხელმძღვანელები და პოლიცია ახორციელებენ, … არ არის. ეკელნმა გადაჭრით სთქვა: „მე გამოვგზავნით სს-ის ბრიგადას, რომელიც დაგეხმარებათ დამალულ ლიტველთა გამოთრევაში. ერთ-ორ ძვირ ლიტველს მივახვრეტთ, და მაშინ დაინახავთ, თუ რა სწრაფად გამოძვრებიან ისინი სამალავებიდან“.

შემდეგ მოწმე აცხადებს, რომ ბრალდებული ეკელნი ფართოდ იყო ცნობილი თავისი სისასტიკით. იგი გადააყენებდა ხოლმე ხელქვეითებს, რომლებიც რაიმე მხრივ არ ასრულებდნენ მის მოთხოვნას მშვიდობიანი მოსახლეობის — ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, აგრეთვე პარტიზანების დაუნდობლად აწიოკების შესახებ.

შემდეგ ჩვენებას იძლევა მოწმე **ი. ი. კაულინში**. იგი სასამართლოს მოუთხრობს მხეცური რეჟიმის შესახებ, რაც არსებობდა სალასპილსის სიკვდილის ბანაკში.

სასამართლო გამოძიების მსვლელობაში სასამართლო არკვევს, რომ ორგანოები, რომლების გამგებლობაშიც იყო საკონცენტრაციო ბანაკები და საპყრობილეები, კერძოდ რიგის ცენტრალური საპყრობილე და სალასპილსის ბანაკი, ემორჩილებოდა ეკელნს და მთელი ბოროტმოქმედება, რასაც იქ სჩადიოდნენ, ხდებოდა მისი თანხმობითა და მოწონებით.

ამით მთავრდება დილის სხდომა.

• • •

28 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა ბრალდებულ **ეკელნის** საქმის გამო.

• • •

**რიგა**, 29 იანვარი. (საკდესი). დილის სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა ბრალდებულ ეკელნის საქმის გამო. მედიცინის მუშაკმა მოწმე **მ. გ. ბრიზკმანმა** სასამართლოს უამბო ჰიტლერელების მიერ ქალებისა და ბავშვების საშინელ წამებასა და მასობრივ დახვრეტაზე.

ბრიზკმანმა სასამართლოს აცნობა აგრეთვე, რომ გერმანელმა მკვლელებმა კოსტიოლში შერეკეს ქალთა დიდი ჯგუფი, კოსტიოლს ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს.

შემდეგ გამოძიების მსვლელობის მიხედვით დაკითხულ იქნა „სს“ ჯარებისა და პოლიციის სამშენებლო ჯგუფის ყოფილი ხელმძღვანელი „სს“ ობერშტურმბანფიურერი **ბლაშეკი**:

— ეკელნის ბინაზე გამართულ ერთ-ერთ ბანკეტზე, — აჩვენებს იგი, — ეკელნმა ჩამოაყალიბა ოსტლანდში მოქმედების თავისი პროგრამა. ამ გეგმით განზრახული იყო მთლად გაჟლეტათ ლატვიელები, ლიტველები და ესტონელები და გერმანელებით დაესახლებინათ ბალტიისპირეთის მიწები.

ბლაშეკმა განახორციელა მრავალთა შორის ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული „გადასახლების“ ოპერაცია, რომლებსაც ახორციელებდნენ ეკელნის დავალებით. 1941 წლის შემოდგომაზე რიგიდან გაგზავნეს კოლონა, რომელშიც იყო მრავალი ათასი საბჭოთა ქალი, მოხუცი, ბავშვი და სამხედრო ტყვე. 8 კილომეტრზე რიგიდან ეს სრულიად უდანაშაულო ადამიანები დახვრიტეს და დამარხეს სპეციალურად ამისთვის მომზადებულ ორმოებში. ბევრი მსხვერპლი ცოცხლად დამარხეს.

ობერ-ჯალათი და სადისტი, პოლიციის გენერალი ეკელნი ადასტურებს გერმანელების მიერ საბჭოთა ბალტიისპირეთში ჩადენილ სისხლისმღვრელ ბოროტმოქმედებათა ფაქტებს და ცდილობს შეამციროს თავისი პირადი დანაშაული, მაგრამ მოწმეთა ჩვენებანი და დოკუმენტები სავსებით ააშკარავებენ ამ ფაშისტ ბოროტმოქმედს.

სასამართლო გადადის გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, რიგის ყოფილი სამხედრო კომენდანტის, ბრალდებულ **რუფის** დაკითხვაზე.

სასამართლო ადასტურებს, რომ ფრონტის ხაზის მოახლოებასთან დაკავშირებით რუფს მიეცა მთელი ძალაუფლება რიგის რაიონში. ბრალდებული ძალიან ამუშავებდა მშვიდობიან მოსახლეობას თავდაცვით ნაგებობათა ასაშენებლად. იმათ, ვინც მუშაობას თავს არიდებდა, მისი ბრძანებით მხეცურად სცემდნენ და ხვრეტდნენ.

თავმჯდომარე აქვეყნებს საგანგებო სახელმწიფო კომისიის აქტის ამონაწერს, საიდანაც ცხადი ხდება, რომ რიგიდან გერმანიაში გარეკეს 76 ათასზე მეტი მცხოვრები.

შემდეგ სასამართლო გადადის იმ გარემოებათა გამორკვევაზე, რომლებიც დაკავშირებულია რუფის ბრძანებასთან რიგის დანგრევის შესახებ.

1944 წლის 11 და 12 ოქტომბერს რიგაში სწარმოებდა ნგრევითი სამუშაოები. დაანგრიეს ქარხნები „ვეფ“, „ვაიროგსი“, „კვადრატი“, ცემენტის ქარხანა, ფანერის ფაბრიკა, ლატვიაში უდიდესი კეგუმის ჰიდროელექტროსადგური, მიწასთან გაასწორეს ნავსადგური, ააფეთქეს რკინიგზებისა და პონტონის ხიდები, რიგის სარკინიგზო კვანძი, სასტუმროები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები და მთელი რიგი სხვა სამრეწველო და კულტურული ობიექტები.

სასამართლომ აგრეთვე გამოარკვია, რომ ბრალდებულ რუფს ეკისრება პასუხისმგებლობა ქარხნების რამდენიმე მილიარდ მანეთად ღირებული მოწყობილობის, ფასეულობისა და სხვა ქონების გაძარცვისა და გერმანიაში გატანისათვის, რომლებიც ეკუთვნოდა საბჭოთა ხალხს.

ამით მთავრდება დილის სხდომა.

• • •

**რიგა**, 30 იანვარი. (საკდესი). 29 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა ბრალდებულ **რუფის** დაკითხვა. უდავო ფაქტების ძალით რუფი იძულებულია აღიაროს, რომ რიგის სამხედრო კომენდანტად ყოფნისას იგი ხელმძღვანელობდა თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაზე მოსახლეობის იძულებით მობილიზაციას, მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქეების მასობრივ დაპატიმრებას და გერმანიის კატორღაში მათს გაგზავნას, აწიოკებდა იმ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც თავს არიდებდნენ მის ბრძანებათა შესრულებას, მონაწილეობდა რიგის საწარმოების მოწყობილობის დატაცებასა, გერმანიაში მის გაგზავნასა და ქალაქის სამრეწველო, საბინაო-კომუნალური და სხვა ობიექტების მოსპობაში.

სასამართლო გადადის ბრალდებულ რუფის საქმის გამო გამოწვეულ მოწმეთა დაკითხვაზე.

პირველი ჩვენებას იძლევა მოწმე **ა. ა. ჰარტმანისი**. იგი აცხადებს, რომ რიგაში მოწყობილ დაპატიმრებას ხშირად თან ახლდა საბჭოთა მოქალაქეების დახვრეტა. სასტიკ რეპრესიებს იყენებდნენ აგრეთვე იმ საბჭოთა ადამიანების მიმართ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ **რიგის სამრეწველო** საწარმოების, ისტორიულ და კულტურულ ღირებულებათა გაძარცვას. გერმანელები სასტიკად აწიოკებდნენ ქარხანა „ვეფის“ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანიაში მოწყობილობის გაზიდვისათვის.

მოწმე **ი. ი. ლაციხი** სასამართლოს უამბობს გერმანიაში საბავშვო სახლების აღსაზრდელთა ძალად გაგზავნის შესახებ, რომელთა ბედიც არავინ იცის.

მოწმე, ლატვიის უნივერსიტეტის დოცენტი **ვილდე** აჩვენებს:

— გერმანელმა ოკუპანტებმა დახვრიტეს ან გერმანიაში გარეკეს ბევრი ჩვენი საუკეთესო მეცნიერი და ექიმი. მე უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელო მსოფლიოში ცნობილი პროფესორი მინცი და სხვა პროფესორები, დოცენტები და ექიმები. პროფესორმა ილინსკიმ ვერ აიტანა გერმანული ოკუპაციის მთელი საშინელება და თავი მოიწამლა თავის ოჯახთან ერთად.

შემდეგ მოწმე ლაპარაკობს, რომ გერმანელები რიგიდან წასვლის წინ ძარცვავდნენ სამედიცინო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს და გერმანიაში გაჰქონდათ ლაბორატორიების მოწყობილობა და წიგნები. რიგაში მათ მოსპეს ძველი ქალაქი, ქალაქი-მუზეუმი, რომელიც ლატვიელი ხალხის საგანძურს წარმოადგენდა.

მოწმე ვილდეს დაკითხვით მთავრდება საღამოს სხდომა.

• • •

**რიგა**, 30 იანვარი. (საკდესი). 30 იანვრის დილის სხდომაზე ბრალდებულ **რუფის** საქმის გამო სასამართლოს ჩვენებას აძლევდა მოწმე **მუტული**.

სასამართლო გამოძიების შედეგად სასამართლო ადასტურებს ბრალდებულ რუფის სრულ პასუხისმგებლობას მთელი იმ ბოროტმოქმედებისათვის, რაც მას ჩაუდენია რიგაში ქალაქის კომენდანტად ყოფნის დროს.

შემდეგ სასამართლო გადადის გერმანიის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, ციხე-ქალაქ ლეპაიის ყოფილი კომენდანტის, ბრალდებულ **დეყონ-ფონ-მონტეტონის** დაკითხვაზე.

1942 წლის დეკემბრიდან 1944 წლის ივლისამდე ბრალდებული მეთაურობდა 391 მცველ დივიზიას. ამ პერიოდში პარტიზანებთან ბრძოლის სახით მისი ბრძანებით სწვავდნენ მთელ რაიონებს რკინიგზების გასწვრივ, მშვიდობიან მოსახლეობას — მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებს ხვრეტდნენ, ხოლო გადარჩენილ მცხოვრებთ გერმანიის კატორღაში მიერეკებოდნენ, მათს ქონებას კი იტაცებდნენ.

1944 წლის ივლისში 391 მცველი დივიზია განადგურებულ იქნა წითელი არმიის შემტევი ნაწილების მიერ. დივიზიის ნაშთებთან ერთად უკანდახევისას დეყონ-ფონ-მონტეტონმა ბრძანება გასცა გზაში მოესპოთ საცხოვრებელი სახლები, სკოლები, მონასტრები, სამრეწველო საწარმოები. 1944 წლის ოქტომბერში ეს ფაშისტი ჯალათი, რომელმაც თავი გამოიჩინა მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკებაში, დანიშნულ იქნა ციხე-ქალაქ ლეპაიის კომენდანტად და ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა გერმანიის კაპიტულაციამდე.

ბრალდებულის ბრძანებებით ქალაქში სწარმოებდა მშვიდობიან მცხოვრებთა მასობრივი ჩხრეკა-დაპატიმრება, როგორც თვით დეყონ-ფონ-მონტეტონი აჩვენებს, ლეპაიიდან გერმანიაში გარეკილ იქნა 12 ათასზე მეტი საბჭოთა მოქალაქე, დანარჩენი მშვიდობიანი მოსახლეობა იძულებითი წესით გაგზავნილ იქნა თავდაცვით სიმაგრეთა მშენებლობაზე. ის მცხოვრებნი, რომლებიც არ შეასრულებდნენ კომენდანტის ბრძანებას თავდაცვითს სამუშაოზე გამოსვლის შესახებ, განწირული იყვნენ შიმშილისა, წამებისა და დახვრეტისათვის.

ბრალდებული აღიარებს, რომ მისი ბრძანებით დანაღმულ და დასანგრევად მომზადებულ იქნა ქალაქის მთელი სამრეწველო საწარმოები, სანავსადგურო ნაგებობანი, შუქურა და სხვა ობიექტები.

სასამართლოს დილის სხდომა მთავრდება მოწმეების **ა. პ. კოვალიოვის** და გერმანიის არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების **ვაინისა** და **შეფერის** ჩვენებით.

• • •

**რიგა**, 31 იანვარი. (საკდესი). 30 იანვრის საღამოს სხდომა დაიწყო გერმანიის არმიის გენერალ-მაიორის № 189 № 186 საველე კომენდატურების ყოფილ კომენდანტ რიგის ზურგის დაცვის 16-ე საარმიო კორპუსის მეთაურ ბრალდებულ **ვერტერის** დაკითხვით.

სასამართლო არკვევს, რომ ვერტერმა, რომელიც ლენინგრადისა და კალინინის ოლქებში იმყოფებოდა, პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ბრძანება გასცა მშვიდობიანი საბჭოთა მოსახლეობის მასობრივი აწიოკების შესახებ. გერმანელი მკვლელები ხვრეტდნენ ათობით სოფლის მოსახლეობას, სოფლებს კი მთლიანად ანადგურებდნენ.

№ 186 საველე კომენდატურამ, რომელსაც ვერტერი მეთაურობდა, 1944 წლის მარტიდან ივლისამდე გერმანულ კატორღაში გაგზავნა 17 ათასი საბჭოთა მოქალაქე ქალაქებიდან ველიკიე ლუკიდან და ცესისიდან, 4.500 კაცი ქალაქ სლოკიდან. 1945 წლის აპრილში ჯარებმა და ჟანდარმერიის ნაწილებმა გერმანიაში გარეკეს მთელი ლატვიელი მოსახლეობა ფრონტისპირა ზოლიდან.

ბრალდებული არის აგრეთვე რიგის, ვალმიერის, ცესისის, ალუქსნეს, ლიმბაჟისა და სხვა ქალაქების სამრეწველო საწარმოთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა და სხვა ნაგებობათა დანგრევის თანამონაწილე.

ბრალდებული ვერტერი ადასტურებს წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემულ ჩვენებას.

მოწმემ ქალაქ სლოკის მცხოვრებმა 72 წლის ქალმა **აბიკისმა** თავის ჩვენებაში სასამართლოს უამბო, რომ 1944 წლის შემოდგომის დამდეგს ვერტერის ბრძანებით მშვიდობიანი მოსახლეობა გარეკეს იმ თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობაზე, რომლებსაც არტილერიის ცეცხლქვეშ აგებდნენ.

ამ ფაქტს ადასტურებს მოწმე **ა. გ. როხლოვა**, რომელიც თავის ქმართან ერთად თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე მუშაობდა ქალაქ სლოკის რაიონში. იგი ლაპარაკობს აგრეთვე, რომ გერმანელები ხვრეტდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს. ფაშისტი მკვლელების ხელით დაიღუპა მისი ქმარიც.

პროკურორის შუამდგომლობით ქვეყნდება ქალაქ სლოკში გვამების სამარხთა გათხრის კომისიის აქტის ტექსტი. აქტში ნათქვამია, რომ ორმოს გათხრის დროს აღმოჩენილ იქნა 19 გვამი, რომელთაც ეტყობოდათ ნატყვიარი და საშინელი წამების კვალი.

მოწმე **ბიკოვი** სასამართლოს აჩვენებს იმ დანაშაულობათა შესახებ, რაც ბრალდებულმა ვერტერმა ფსკოვის ოლქის ტერიტორიაზე ჩაიდინა.

ამით მთავრდება საღამოს სხდომა.

## გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისათვის გამოტანილი განაჩენი მოყვანილია სისრულეში

**ველიკიე ლუკი**, 1 თებერვალი. (საკდესი). დღეს 12 საათზე ბაზრის მოედანზე სისრულეში მოყვანილ იქნა გერმანელი ფაშისტი ავაზაკების რაპარდის, ზასის, ზონფელდის, კულენკამპის, ჰანის, ვოლფის, ჰეშელისა და ჰერშისათვის ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი განაჩენი — ჩამოხრჩობა, — ქალაქ ველიკიე ლუკში და ველიკიე ლუკის ოლქის ტერიტორიაზე მათ მიერ საბჭოთა მოქალაქეებისა და სამხედრო ტყვეების მასობრივად გაჟლეტისა და წამებისათვის.

განაჩენის სისრულეში მოყვანას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ქალაქისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, რომლებიც მოედანზე იყვნენ.

## ომის დამნაშავეთა გასამართლება ფინეთში

**ჰელსინკი**, 1 თებერვალი. (საკდესი). დღეს სასამართლოში ომის ფინელ დამნაშავეთა საქმის გამო გრძელდებოდა ბრალდებულებისა და მათი დამცველების გამოსვლები. გამოვიდა ყველა ბრალდებული, გარდა კივიმიაკისა და მისი დამცველისა. კივიმიაკის სიტყვა მოსმენილ იქნება ხვალ, რის შემდეგაც სასამართლო ალბათ თავის სხდომებს დაამთავრებს.

# მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

## 30 იანვრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი**, 30 იანვარი. (საკდესი). ტრიბუნალის დილის სხდომაზე ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი დიუბოსი განაგრძობდა თავის გამოსვლას გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმართა მდგომარეობის შესახებ, ამ საკონცენტრაციო ბანაკების ორგანიზაციისა და იქ სს-ელთა ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ.

ბრალმდებელს მოჰყავს ციტატი დოკუმენტიდან, რაც განსაზღვრავს პატიმართა მუშაობის წესს იმ ქარხნებში, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკების მახლობლად მდებარეობდნენ. ამ დოკუმენტში, რომელიც გამოცემულია ბერლინში და დათარიღებულია 1942 წლის 30 აპრილით, ნათქვამია: „პატიმართა მიერ შესასრულებელი სამუშაო პირდაპირ მომქანცველი უნდა იყოს იმისათვის, რომ მიღებულ იქნას პროდუქციის საჭირო რაოდენობა". შემდეგ ბრალმდებელს მოჰყავს ჰიმლერისადმი გერინგის წერილის ციტატი, რომელიც ცხადჰყოფს გერინგის პასუხისმგებლობას გერმანიის სამხედრო საწარმოებში პატიმართა დანაშაულებრივი გამოყენებისათვის.

„გთხოვთ, — ნათქვამია წერილში, — საჰაერო საწარმოებად ჩემს განკარგულებაში გამოგზავნოთ სამხედრო ტყვეთა საჭირო რაოდენობა. როგორც პრაქტიკამ დაგვანახვა, ეს მუშახელი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას. საჰაერო ომის მდგომარეობა მოითხოვს, რომ სწორედ ახლა გადაიჭრას მუშახელის გამოყენების საკითხი, და მე საჭიროდ მიმაჩნია გამოვიყენო სამხედრო ტყვეთა სამუშაო ძალა".

— საკონცენტრაციო ბანაკებში, — ამბობს ბრალმდებელი, — პატიმარნი, როგორც მოწმეები აჩვენებდნენ, აუტანელი შრომით სრულ დაუძლურებამდე მიჰყავდათ, ბოლო შემდეგ გაზის კამერებში ხოცავდნენ. საკონცენტრაციო ბანაკებში პატიმართა მდგომარეობას ჰიტლერელი ხელისუფალნი ძლიერ საიდუმლოდ ინახავდნენ, და ჰიტლერი პირდაპირ აცხადებდა, რომ „ბანაკებში ადამიანთა შენახვის პირობების ყოველგვარი გამჟღავნება სიკვდილით დაისჯება".

გამოცხადდა შესვენება, რომლის შემდეგ ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორდმა ლორენსმა განაცხადა, რომ ტრიბუნალმა განიხილა ფრანგი ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთები საკონცენტრაციო ბანაკებში ჰიტლერელების დანაშაულობათა შესახებ. ტრიბუნალმა საკმარისად სცნო ისინი. ტრიბუნალი სთვლის აგრეთვე, რომ, ვინაიდან გასამართლება სწრაფად უნდა მოხდეს, იმ საბუთების შემდგომი წარმოდგენა, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებს ეხებიან, პროცესის ამ სტადიაში ინტერესს არ წარმოადგენს. თუ ფრანგი ბრალმდებელი საჭიროდ დაინახავს ტრიბუნალის ყურადღება შეაჩეროს რაიმე დამატებით მასალებზე საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, მას მიეცემა ამის საშუალება.

ამ განცხადების შემდეგ ბრალმდებელი დიუბოსი გადავიდა სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილ დანაშაულობებში ჰიტლერელ შეთქმულთათვის ბრალდების წაყენებაზე. დიუბოსმა განაცხადა:

„ჩვენ დამტკიცებულად ვთვლით, რომ ნაცისტები საკონცენტრაციო ბანაკებში ახორციელებდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა მოსპობისა და თავიანთი პოლიტიკური მიზნებისათვის პატიმართა გამოყენების პოლიტიკას. საკითხის მეორე მხარე, — განაგრძობს ბრალმდებელი, — ირკვევა იმ დანაშაულობათა განხილვისას, რასაც გერმანია სჩადიოდა სამხედრო ტყვეების მიმართ. ჰიტლერული გერმანიის ეს დანაშაულობანი იმაში მდგომარეობდნენ, რომ იგი ისწრაფოდა მოესპო სამხედრო ტყვეთა მაქსიმალური რაოდენობა. ამ 80 ათასი მოკავშირეთა სამხედრო ტყვიდან, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ნორვეგიაში, 30 ათას კაცს იყენებდნენ მძიმე სამუშაოებზე, რასაც ორგანიზაცია ტოდტი აწარმოებდა.

შემდეგ ბრალმდებელი უდგენს ტრიბუნალს მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც მომდინარეობდნენ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი სარდლობიდან და რომლებიდანაც სჩანს, რომ ჰიტლერელები განზრახ ათავსებდნენ სამხედრო ტყვეთა ბანაკებს განსაკუთრებით საშიშ ადგილებში, ქალაქების მახლობლად და ქალაქის იმ პუნქტებშიც კი, რომლებიც დაბომბვას განიცდიდნენ.

დილის სხდომის ბოლოს ბრალმდებელი გადავიდა ჰიტლერელთა მიერ ჰააგის კონვენციის იმ ნაწილის დარღვევის საკითხზე, რომელიც შეეხება სამხედრო ტყვეთა სამართალში მიცემას. ამ საკითხზე დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა გადატანილ იქნა საღამოს სხდომისათვის.

## 30 იანვრის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი**, 30 იანვარი. (საკდესი). ტრიბუნალის 30 იანვრის საღამოს სხდომის დასაწყისში განცხადება გააკეთა ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორდმა ლორენსმა.

— ტრიბუნალმა, — სთქვა ლორენსმა, — დღეს მიიღო ბრალდებულ ჰესის წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ჰესი თავისი დამცველის კმაყოფილი არ არის და სურს თვითონ დაიცვას თავი. ტრიბუნალი ფიქრობს, რომ ვინაიდან წესდების მე-16 მუხლის შესაბამისად არჩეულ იქნა ბრალდებულ ჰესის დამცველი, ჰესს უფლება არ ეძლევა სასამართლოს ამ სტადიაში შეასრულოს დამცველის მოვალეობა და დაიცვას თავისი თავი. ტრიბუნალის აზრით, ბრალდებულის ინტერესს არ შეესაბამება უდამცველოდ ყოფნა. ამიტომ ტრიბუნალმა ადვოკატი შტამერი დანიშნა ბრალდებულ ჰესის ინტერესთა წარმომადგენლად ნაცვლად როორშაიდტისა.

ტრიბუნალის თავმჯდომარის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ ფრანგი ბრალმდებელი დიუბოსი განაგრძობს ჰიტლერელების მიერ სამხედრო ტყვეების მიმართ დანაშაულებრივი მოპყრობის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას.

დიუბოსი ტრიბუნალის ყურადღებას მიაპყრობს საფრანგეთის მთავრობის ანგარიშს სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის თაობაზე, რაც ტრიბუნალს წინათ წარედგინა. ამ დოკუმენტიდან ნათლად სჩანს, — ამბობს ბრალმდებელი, — რომ ჰიტლერელები, ეწეოდნენ რა დაშინების სისტემატიურ პოლიტიკას, ცდილობდნენ უკანონოდ ჩაეგდოთ ხელში რაც შეიძლება მეტი სამხედრო ტყვე, რათა ზეგავლენა მოეხდინათ იმ ქვეყნებზე, საიდანაც ეს სამხედრო ტყვეები იყვნენ.

ბრალმდებელი არკვევს, რომ გერმანელებს სამხედრო ტყვეებად მიჰყავდათ სამოქალაქო პირებიც, აგრეთვე დემობილიზებულნი, რომელნიც ბრუნდებოდნენ დროებითი ზავის დადების შემდეგ.

მოჰყავს რა გერმანელების მიერ სამხედრო ტყვეების უკანონოდ წაყვანის სხვა დამამტკიცებელი საბუთები, ფრანგი ბრალმდებელი ტრიბუნალს უამბობს ჰოლანდიის არმიის ოფიცერთა დაპატიმრების შესახებ, რომლებიც თავდაპირველად, ჰოლანდიის არმიის კაპიტულაციის შემდეგ, გაათავისუფლეს, ხოლო მერე რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ ტყვედ წაიყვანეს.

დიუბოსი ტრიბუნალს მოუთხრობს, თუ როგორ სდევნიდა გერმანიის სარდლობა ფრანგ სამხედრო ტყვეებს, რომელნიც უარს ამბობდნენ ემუშავნათ გერმანიის სამხედრო მანქანისათვის და საერთოდ გერმანიისათვის. ჰიტლერელი ხელისუფალნი ფიქრობდნენ, რომ ეს მამაცი ადამიანები საფრთხეს წარმოადგენდნენ მათთვის, და დაიწყეს მათი მოსპობა. ბრალმდებელს მოჰყავს ჰიტლერელების მიერ სხვადასხვა საბაბით მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების დახოცვის მრავალი მაგალითი.

საღამოს სხდომის შემდგომი ნაწილი მიეძღვნა იმ საპროცესო საკითხებს, რომლებიც წამოიჭრა ბრალდების მიერ ტრიბუნალისათვის წარდგენილი ამა თუ იმ დოკუმენტების სინამდვილისა და სარწმუნო ხასიათის დამტკიცებასთან დაკავშირებით. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ინგლისელმა ბრალმდებელმა ფაიფმა, ფრანგმა ბრალმდებელმა დიუბოსმა და ტრიბუნალის თავმჯდომარემ ლორენსმა. ფაიფმა ტრიბუნალს მოაგონა, რომ სასამართლოსათვის წარდგენილი საბუთები იმ საბუთებიდან, რომლებიც მოკავშირეთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს გერმანიის ტერიტორიაზე, დამოწმებულია მაიორ კუკის წერილობითი ჩვენებით. ამრიგად, დადგენილია მათი სინამდვილე და, ტრიბუნალის წესდების 21-ე მუხლის თანახმად, ისინი შეიძლება მიღებულ იქნან დამამტკიცებელ საბუთად. ამის საფუძველზე ფრანგმა ბრალმდებელმა დიუბოსმა შუამდგომლობა აღძრა მიღებულ იქნას დოკუმენტი, რომელიც შეეხება საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრების მოსპობას გაზით. დილის სხდომაზე ეს დოკუმენტი ტრიბუნალმა უარჰყო, ვინაიდან იგი თითქოს ოფიციალური არ იყო. ლორენსი აკმაყოფილებს ბრალმდებლის თხოვნას.

ამის შემდეგ დიუბოსი განაგრძობდა ჰიტლერელების მიერ მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების მხეცური დევნისა და მოსპობის დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას. დიუბოსის მიერ ციტირებული დოკუმენტები მოწმობენ, რომ ამ დანაშაულობებში მონაწილეობას იღებდნენ კალტენბრუნერი, რიბენტროპი, გერინგი და კაიტელი.

ამით დამთავრდა ტრიბუნალის საღამოს სხდომა.

## 31 იანვრის დილის სხდომა

**ნიურნბერგი**, 31 იანვარი. (საკდესი). ტრიბუნალის 31 იანვრის დილის სხდომა იწყება ბრალდების ფრანგი წარმომადგენლის დიუბოსის გამოსვლით, რომელიც უდგენს ტრიბუნალს ჰიტლერელთა მიერ მოკავშირეთა სამხედრო ტყვეების ბარბაროსულად მოსპობის დამამტკიცებელ საბუთებს.

ბრალმდებელს მოჰყავს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ გერმანელების მიერ მოკავშირეთა იმ მფრინავების წინასწარ განზრახულ დახოცვას, რომელთა თვითმფრინავებიც ჩამოგდებულ იქნენ და რომელთაც მოახერხეს პარაშუტით თავის გადარჩენა. ბრალმდებელი ტრიბუნალს უკითხავს აგრეთვე მასალებს იმ მკაცრი რეპრესიების შესახებ, რასაც ჰიტლერელი ხელისუფალნი იყენებდნენ მოკავშირეთა იმ სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობდნენ საკონცენტრაციო ბანაკებიდან გაქცევას.

შემდეგ დიუბოსი დაწვრილებით ლაპარაკობს 1944 წლის დეკემბერში ბელგიაში გერმანელთა შეტევის დროს 129 ამერიკელი სამხედრო ტყვის მოკვლის შესახებ.

შემდეგ ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებენ ბრალდებულების გერინგის, კაიტელის, იოდლის, ბორმანის, ფრანკის, როზენბერგის, შირახის, შტრაიხერის, ჰესისა და ფრიკის დანაშაულობას მათ მიერ საკონცენტრაციო ბანაკებში ჩადენილ ბოროტმოქმედებებში. ამავე დროს დიუბოსი ამტკიცებს, რომ ამ დანაშაულობათა ჩადენაში ბრალი მიუძღვით გერმანიის სამხედრო სარდლობას, გენერალურ შტაბს, გერმანიის მთავრობას, ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელ შემადგენლობას, აგრეთვე სს-სა და გესტაპოს.

ფრანგი ბრალმდებელი გადადის გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ჰიტლერელ ხელისუფალთა ტერორისტულ საქმიანობაზე და ტრიბუნალს მოაგონებს ჰიტლერელების მიერ მძევლების დახოცვას, თვითნებურ დაპატიმრებებს, გაუსამართლებლად აწიოკებას, საკონცენტრაციო ბანაკებსა და ქლეტის ბანაკებში მოთავსებას.

ბრალმდებელს მოჰყავს ციტატები ჰიტლერის 1944 წლის 30 ივლისის საიდუმლო განკარგულებიდან, რომელშიც იგი ბრძანებას აძლევდა ადგილზევე დაეხოცათ წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამ ბრძანებით სასტიკი რეპრესიები უნდა განეცადათ არა მარტო ოკუპანტებთან ბრძოლის მონაწილეებს, არამედ მათ თანამგრძნობ პატრიოტებსაც კი.

რაიმე ანტიჰიტლერული აქტის შესრულებაში ეჭვმიტანილი სამოქალაქო პირნი კაიტელის მითითებით დაუყოვნებლივ უნდა დაეხოცათ.

ბრალმდებელმა ტრიბუნალს წარუდგინა დოკუმენტები ჰიტლერელების მიერ დასავლეთ ევროპის ოკუპირებული ქვეყნების სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის შესახებ დივერსიული აქტების შესრულებაში ეჭვის მიტანის გამო.

შემდეგ დიუბოსი აღნიშნავს ბრალდებულ ზაის-ინკვარტის პასუხისმგებლობას ჰოლანდიაში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეთა გაუსამართლებლად დახოცვისათვის. ბრალმდებელს მოჰყავს ციტატები ზაის-ინკვარტის განკარგულებიდან, რომლითაც სს-ის და პოლიციის უფროსებმა მიიღეს განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰოლანდიელ პატრიოტთა აწიოკებაში. ტრიბუნალისათვის წარდგენილი დოკუმენტებიდან ცხადი ხდება, რომ ზაის-ინკვარტის ამ განკარგულებით ჰოლანდიაში მრავალი ადამიანი სიკვდილით დასაჯეს. ფრანგი ბრალმდებელი ტრიბუნალს უდგენს აგრეთვე დოკუმენტებს გერმანელების მიერ ბელგიაში, ნორვეგიასა და ლუქსემბურგში წინააღმდეგობის მონაწილეთა მოსპობის შესახებ.

დასასრულ დიუბოსი ტრიბუნალში აქვეყნებს დოკუმენტებს, რომლებშიც მოყვანილია საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში გერმანიის არმიის მიერ ჩადენილი მრავალი მკვლელობის დაწვრილებითი ცნობები.

ამით მთავრდება ტრიბუნალის დილის სხდომა.

## 31 იანვრის საღამოს სხდომა

**ნიურნბერგი**, 31 იანვარი. (საკდესი). ბრალდების ფრანგი წარმომადგენელი დიუბოსი ტრიბუნალის 31 იანვრის საღამოს სხდომაზე იწყებს დამამტკიცებელი საბუთების წარდგენას იმის შესახებ, რომ ბრალდებულებს დანაშაული მიუძღვით ოკუპირებულ ტერიტორიებზე წინასწარი განზრახვით ქალაქებისა და სოფლების დანგრევაში, რაც გამოწვეული არ იყო საომარი მოქმედების საჭიროებით. ამის დასამტკიცებლად ბრალმდებელს მოჰყავს ფაქტი ქალაქ როტერდამის დანგრევისა უკვე მას შემდეგ, რაც მისმა გარნიზონმა კაპიტულაცია მოახდინა.

გადადის რა მშვიდობიანი სამოქალაქო მოსახლეობის მოსპობასთან დაკავშირებულ დანაშაულობათა განხილვაზე, ბრალმდებელი მიუთითებს, რომ გაუფრთხილებლად დატბორილ იქნა წყლით ჰოლანდიის მთელი რაიონი, რამაც დიდძალი მსხვერპლი გამოიწვია მოსახლეობაში.

ბრალმდებელი ტრიბუნალის ყურადღებას მიაპყრობს ბრალდებულ იოდლის 1944 წლის 6 მაისის ბრძანებაზე, რომელიც პარტიზანების მოსპობას ეხება. ამ ბრძანების ძალით, ამბობს ბრალმდებელი, სწვავდნენ მთელ სოფლებს და სპობდნენ ათასობით ადამიანს. ბრალმდებელს მაგალითისათვის მოჰყავს რამდენიმე განსაკუთრებით დამახასიათებელი შემთხვევა.

1944 წლის 30 სექტემბერს ჰოლანდიის ერთ-ერთ სოფელში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა ხელში ჩაიგდეს გერმანელი ოფიცერი. გერმანულმა ნაწილებმა სოფელში დამსჯელი რაზმი გაგზავნეს. მთელ მოსახლეობას ეკლესიაში მოუყარეს თავი. გერმანელებმა მოითხოვეს გადაეცათ მათთვის ოფიცერი. ეს შესრულებულ იქნა. გერმანელები დაჰპირდნენ, რომ არავითარ რეპრესიებს არ მიმართავდნენ, მაგრამ მათ მალე განაცხადეს, ყველა შეპყრობილ მამაკაცს წავიყვანთ, ხოლო ქალებმა უნდა დასტოვონ სოფელი, რადგანაც იგი უნდა დავანგრიოთ. შემდეგ 150 სახლი დასწვეს. დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი დახვრიტეს, მათ შორის ქალები და ბავშვები. ყველა მამაკაცი საკონცენტრაციო ბანაკში გაგზავნეს. ამ სოფლის გარეკილი 622 მოქალაქიდან ცოცხალი დარჩა მხოლოდ 32 კაცი, რომლებიც ჰოლანდიის განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდნენ.

ბელგიიდან უკანდახევისას გერმანელთა ნაწილები თავიანთ გზაზე სწვავდნენ სოფლებს. გერმანელი ჯარისკაცები სოფლებში ჩხრეკდნენ სარდაფებს, იქიდან ამოჰყავდათ ადამიანები, გაამწკრივებდნენ ხოლმე მათ გზის პირად, უბრძანებდნენ გაქცევას და ამის შემდეგ ტყვიას უშენდნენ თავიანთ მსხვერპლთ. იმ შემთხვევებში, როდესაც მცხოვრებლები სარდაფებიდან არ ამოდიოდნენ, გერმანელი ჯარისკაცები მათ გრანატებს აყრიდნენ.

საფრანგეთსა და ნორვეგიაში, განაგრძობს ბრალმდებელი, ადამიანთა მასობრივი დახოცვა და ნგრევა, რაც სამხედრო საჭიროებით არ იყო გამოწვეული, აგრეთვე ძლიერ ხშირი იყო და ხდებოდა ჰიტლერელ შეთქმულთა საერთო გეგმის შესაბამისად. ბრალმდებელი კითხულობს გერმანიის ჯარების მიერ საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში დანგრეული დასახლებული პუნქტების სიას და ამის დამადასტურებელ დოკუმენტებს. შემდეგ ბრალმდებელი ჩამოსთვლის ადგილობრივი მოსახლეობისადმი გერმანელი ჯარისკაცებისა და კომენდანტების მხეცური მოპყრობის შემთხვევებს, მიუთითებს გერმანელი ჯარისკაცების მიერ ქალების გაუპატიურების მრავალ შემთხვევაზე და მოჰყავს ფაქტები მოსახლეობის დევნისა მოკავშირეთა არმიების ტყვე ჯარისკაცთათვის გაწეული დახმარების გამო. დაბა პრესლში (ზემო ალპების დეპარტამენტი) სს-ელებმა, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ორ ფრანგს ეძებდნენ, შეიპყრეს მათი ცოლ-შვილი. ამ ქალებსა და ბავშვებს ჭრილობები მიაყენეს დანებით, შემდეგ კი ხელის ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს. ერთი 3 წლის ბავშვი კი ფერმის კარზე ლურსმნებით მიაჭედეს.

ბრალმდებელს მოჰყავს ფაქტები მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში გერმანელი ჯარისკაცების მიერ მშვიდობიანი მცხოვრებლების მოკვლისა, აგრეთვე ლაპარაკობს მრავალი ადამიანის დაწვაზე მათს სახლებში. კერძოდ, ბრალმდებელს მოჰყავს იმ პირთა ჩვენება, რომლებიც მოწმენი იყვნენ სს-ელების მიერ სოფელ ორადურის მოსპობისა. 10 ივნისს ნაშუადღევს შემდეგ, ნათქვამია ამ ჩვენებებში, სს-ელთა ერთი ნაწილი შეიჭრა წინასწარ ალყაშემორტყმულ სოფელში და მოსახლეობას უბრძანა შეკრებილიყო ცენტრალურ მოედანზე. სს-ელებმა მოითხოვეს ეჩვენებინათ, თუ სად იყო დამალული ფეთქებადი ნივთიერება და ეცნობებინათ ტერორისტთა შესახებ. შემდეგ მცხოვრებლებს წინადადება მისცეს შეგროვილიყვნენ ხუთ-ხუთი კაცისაგან შემდგარ ჯგუფებად და სარდაფებში ჩასულიყვნენ. ყველა ქალი და ბავშვი სს-ელებმა ეკლესიაში ჩაჰკეტეს. ცოტა ხნის შემდეგ გაისმა ტყვიამფრქვევთა ჯერების ხმა, და მთელი სოფელი ცეცხლის ალში გაეხვია. სახლებს რიგრიგობით უკიდებდნენ ცეცხლს. დანაშაულებრივი ოპერაცია რამდენიმე საათს ხორციელდებოდა. სს-ელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი წაუკიდეს ეკლესიას. შიგ მყოფი ქალები და ბავშვები კვამლისაგან იხრჩობოდნენ. გერმანელმა ჯარისკაცებმა ეკლესიის ფანჯრებში დაიწყეს სროლა. ეკლესია აივსო დანახშირებული გვამებით. ღამით გერმანელები სოფელში დაბრუნდნენ და მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედების კვალის მოსპობას შეუდგნენ. მათ ეკლესიიდან გამოიტანეს ქალებისა და ბავშვების გვამები და დასწვეს.

ამ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენით მთავრდება ტრიბუნალის 31 იანვრის საღამოს სხდომა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი სესია

## პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წინადადების განხილვა საერთო კომიტეტის სხდომაზე

**ლონდონი**, 30 იანვარი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის საერთო კომიტეტის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი გენერალურ ასამბლეაში და ეკონომიურსა და სოციალურ საბჭოში პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლობის საკითხზე. სპააკმა საერთო კომიტეტს წარუდგინა წინა სხდომაზე დანიშნული ქვეკომიტეტის მიერ შემუშავებული მოხსენება. ქვეკომიტეტი ურჩევს საერთო კომიტეტს მიიღოს შემდეგი რეზოლუცია: „საერთო კომიტეტს შესაძლებლობა არა აქვს ურჩიოს ასამბლეას კონკრეტული წინადადება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნის შესახებ. ამიტომ საერთო კომიტეტმა გადასწყვიტა მთელი საკითხი გადასცეს გენერალური ასამბლეის განსახილველად და სთხოვოს მას შეიტანოს თავის დღის წესრიგში".

სსრ კავშირის დელეგატმა ამხ. გრომიკომ განაცხადა: გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საერთო კომიტეტს რომ გარკვეული წინადადებანი შეეტანა ამ საკითხზე და არ მიეღო რეზოლუცია, რომელიც საერთოდ არავითარ რეკომენდაციას არ შეიცავს. ამხ. გრომიკომ საერთო კომიტეტის განსახილველად წარადგინა საბჭოთა დელეგაციის რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნის გამო, რომ მის წარმომადგენლებს ნება დაერთოთ მონაწილეობა მიიღონ ეკონომიური და სოციალური საბჭოს მუშაობაში და წესდების 171-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ შესაფერისი კონსულტაციების ჩატარებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გენერალური ასამბლეა რჩევას იძლევა, რომ ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ რაც შეიძლება მალე მიიღოს ღონისძიებანი, რომელთა თანახმად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მონაწილეობა დაშვებული იქნება სათათბირო საფუძველზე ეკონომიური და სოციალური საბჭოს და მისი კომისიებისა და კომიტეტების მუშაობაში".

ამხ. გრომიკოს მიერ შეტანილ მეორე რეზოლუციაში ნათქვამია: „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნის გამო, რომ მის წარმომადგენლებს ნება დაერთოთ მონაწილეობა მიიღონ სათათბირო საფუძველზე გენერალური ასამბლეის მუშაობაში, გენერალური ასამბლეა შესაძლებლად სთვლის წინადადება მისცეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას წარმოგზავნოს თავისი წარმომადგენლები გენერალური ასამბლეის სესიების დროს სხდომებზე დასასწრებლად ოფიციალური სტუმრების სახით".

ამხ. გრომიკომ სთხოვა კომიტეტს განიხილოს ეს ორი რეზოლუცია ცალ-ცალკე.

კომიტეტის თავმჯდომარემ სპააკმა წინადადება შეიტანა გრომიკოს მიერ შეტანილი რეზოლუციები მიღებულ იქნას, როგორც კამათის საფუძველი.

ამის შემდეგ გაიმართა ხანგრძლივი კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საერთო კომიტეტის თითქმის „ყველა წევრმა.

შემდეგ კენჭი უყარეს ამხ. გრომიკოს პირველ რეზოლუციას. იგი მიღებულ იქნა 7 ხმის უმეტესობით 6 ხმის წინააღმდეგ. რეზოლუციას ხმა მისცეს სსრ კავშირმა, უკრაინის სს რესპუბლიკამ, პოლონეთმა, საფრანგეთმა, ახალმა ზელანდიამ, ჩინეთმა და ბელგიამ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და სხვა ქვეყნებმა ხმა მისცეს წინააღმდეგ. სამხრეთ აფრიკის კავშირმა თავი შეიკავა.

საბჭოთა დელეგაციის მეორე რეზოლუციის გამო, რომელშიც წამოყენებულია წინადადება, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენლები მოწვეულ იქნან როგორც გენერალური ასამბლეის ოფიციალური სტუმრები, ნოელ-ბეიკერმა განაცხადა, რომ იგი ამ რეზოლუციას დაეთანხმებოდა იმ პირობით, რომ ასეთი მოწვევა გავრცელდებოდა სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებზეც. კონელიმ იქვე შეიტანა შესწორება, რის თანახმად საბჭოთა დელეგაციის მეორე რეზოლუციის დასაწყისსა და ბოლოში სიტყვებს „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია" უნდა დაემატოს და უშუალოდ მისდევდეს სიტყვები „და ამერიკის შრომის ფედერაცია". ამხ. მანუილსკი გამოვიდა ამ შესწორების წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ შეუძლებელია ორივე ორგანიზაცია ჩაყენებულ იქნას თანაბარ პირობებში. მაშინ როცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც 70 მილიონ მუშას აერთიანებს და საერთაშორისო პრობლემებზე მუშაობს საერთაშორისო მასშტაბით, ამერიკის შრომის ფედერაცია არის ნაციონალური ორგანიზაცია.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა რეზოლუციის სასარგებლოდ და წინააღმდეგ, რის შემდეგ სპააკმა კენჭი უყარა კონელის შესწორებას. თავდაპირველად კენჭი ეყარა წინადადებას, რომ სიტყვები „და ამერიკის შრომის ფედერაცია" შეტანილ იქნას სიტყვების — „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის" შემდეგ რეზოლუციის დასაწყისში. ეს შესწორება მიღებულ იქნა 8 ხმით 4 ხმის წინააღმდეგ. რეზოლუციის ბოლოში იმავე სიტყვების შეტანის შესახებ წინადადების კენჭისყრის წინ ამხ. გრომიკომ მოითხოვა წაეკითხათ ტექსტი იმ სახით, როგორიც იგი იქნებოდა შესწორების შეტანის შემთხვევაში. როცა ტექსტი წაიკითხეს, ამხ. გრომიკომ განაცხადა, რომ ეს არ არის მისი წინადადება, რომ იგი ვერ დაეთანხმება, რომ კენჭი ეყაროს რეზოლუციას ახლანდელი სახით და მოითხოვს ამ რეზოლუციის მოხსნას. თავმჯდომარემ უარი სთქვა ამ მოთხოვნის შესრულებაზე. შემდეგ მოხდა კენჭისყრა. კომიტეტის 7 წევრმა მხარი დაუჭირა შესწორებას 4 წევრის წინააღმდეგ. მაგრამ როცა კენჭი ეყარა მთლიანად რეზოლუციას ორივე შესწორების შეტანით, იგი უარყოფილ იქნა 6 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ. ამრიგად, ბოლოსდაბოლოს კომიტეტმა უარჰყო კონელის შესწორება რეზოლუციასთან ერთად, რომელშიც ეს შესწორება შეტანილი იყო რამდენიმე წუთით წინ კენჭისყრამდე.

კომიტეტმა გადასწყვიტა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანოს პოლონეთის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუცია ომით განადგურებული ქვეყნების აღდგენის შესახებ.

# იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის გამოცხადება

**ბელგრადი**, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს საღამოს შესდგა დამფუძნებელი კრების გაერთიანებული საბოლოო სხდომა. სხდომას დაესწრო მინისტრთა საბჭოს ყველა წევრი მარშალ ტიტოს მეთაურობით. დიპლომატიურ ლოჟებში იყვნენ სსრ კავშირის, საფრანგეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, თურქეთის ელჩები და დესპანები და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები.

გაერთიანებული სხდომა გახსნა ეროვნებათა სკუპშჩინის თავმჯდომარემ იოსიპ ვიდმარმა. საბოლოო სხდომის დღის წესრიგშია იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის გამოცხადება. მას შემდეგ, რაც გამოქვეყნებულ იქნა კონსტიტუციის ტექსტი სერბიულ, ხორვატულ, სლოვენურ და მაკედონურ ენებზე, დეპუტატმა სრეტენ ჟუიოვიჩმა წაიკითხა სახალხო ფრონტის დეპუტატების მიერ შეტანილი ტექსტი რეზოლუციისა კონსტიტუციის გამოცხადების შესახებ. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი რეზოლუცია. დეპუტატები ფეხზე ამდგარნი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის გამოცხადებას.

შემდეგ დეპუტატმა როდოლიუბ ჩოლაკოვიჩმა სახალხო ფრონტის დეპუტატების სახელით შეიტანა წინადადება, რათა დამფუძნებელი კრება გარდაიქმნას იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინად კონსტიტუციით დაწესებული ვადით. დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. ამით დამფუძნებელი კრების საბოლოო სხდომის დღის წესრიგი ამოწურულ იქნა. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მდივანმა პეროვიჩმა გამოაქვეყნა ბრძანებულება 31 იანვარს საღამოს იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის პირველი საგანგებო სხდომის მოწვევის შესახებ. ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ თავმჯდომარე ვიდმარი ხურავს დამფუძნებელი კრების საბოლოო სხდომას.

**ბელგრადი**, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს საღამოს შესდგა იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის პირველი საგანგებო სხდომა. სხდომის თავმჯდომარემ საკავშირო ვეჩეს თავმჯდომარემ ვლადიმერ სიმიჩმა გამოაქვეყნა მთავრობის გადადგომის ტექსტი, რომელიც მარშალმა ტიტომ იუგოსლავიის ფედერატიული სახალხო რესპუბლიკის სახალხო სკუპშჩინის პრეზიდიუმს გადასცა ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. დეპუტატ ბლაგოევიჩის წინადადებით სახალხო სკუპშჩინამ ერთხმად გადასწყვიტა: მიიღოს მთავრობის გადადგომა, ახალი მთავრობის შედგენა მიანდოს მარშალ ტიტოს, დაავალოს მთავრობის ძველ შემადგენლობას შეასრულოს თავისი ფუნქციები ახალი კაბინეტის შედგენამდე. სახალხო სკუპშჩინის მორიგი სხდომის დღე ცალკე გამოცხადდება.

# „მოვსპოთ ფაშისტური გადამდები სენის კერა"

## ანტიფრანკისტული მიტინგები პრაღაში

**პრაღა**, 30 იანვარი. (საკდესი). დემოკრატიული ესპანეთის დამხმარე კომიტეტს მოსდის ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობის მრავალი რეზოლუცია, რომლებიც მოითხოვენ ფრანკოს გაძევებას და ყოველმხრივი დახმარების გაწევას ესპანელი ხალხისათვის.

28 იანვარს პრაღაში გაიმართა სამი მასობრივი ანტიფაშისტური მიტინგი, რომლებზეც სიტყვები წარმოსთქვეს მთავრობის წევრებმა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, ფაბრიკა-ქარხნების, სხვადასხვა საზოგადოებრივი და კულტურული ორგანიზაციების დელეგაციებმა. ნაციონალურ თეატრში გამართულ დიდ მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს განათლების მინისტრმა ნეედლიმ, მრეწველობის მინისტრმა ლაუშმანმა, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირული და ახალგაზრდობის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

„ჩვენ გვსურს, — განაცხადა მასობრივ მიტინგზე პრაღაში ინფორმაციის მინისტრმა კოპეცკიმ, — რომ მადრიდში ფრიალებდეს თავისუფლების დროშა. ჩეხოსლოვაკიელი ხალხის იმ შვილთა სახელით, რომლებიც დაიღუპნენ ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჩვენ მოვუწოდებთ: ძირს უკანასკნელი ფაშისტი მტარვალი ფრანკო! გაუმარჯოს თავისუფალ ესპანეთს! ამ მოწოდებას მხარს უჭერენ ჩეხოსლოვაკიის ყველა მშრომელნი და ჩეხოსლოვაკიის მთავრობა".

მიტინგების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუციები, რომლებიც მოუწოდებენ ჩეხოსლოვაკიის ხალხს მხარი დაუჭიროს დემოკრატიულ მოძრაობას ესპანეთის განთავისუფლებისათვის. მიტინგების მონაწილენი ევროპის ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვენ გასწყვიტონ დიპლომატიური ურთიერთობა ფრანკოს მთავრობასთან.

## თეატრებში

**3 თებერვალს:** **რუსთაველის სახელობის** — „ხევისბერი გოჩა". **მარჯანიშვილის სახელობის** — „შესაფერი ჯილდო". **გრიბოედოვის სახელობის** — „ასეც იქნება". **მუსიკალური კომედიის** — „კოლომბინა". **სანკულტურის** — „უნიადაგონი". **სომხური** — „მოკლული მტრედი". **ახუნდოვის სახელობის** — „ინთიზარი". **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „ზამთრის ზღაპარი". **რუსული** — „ვერაგობა და სიყვარული".

მოქალაქე **ვლადიმერ ეფიმის-ძე ანტიპოვმა**, მცხოვრებმა ბეჟთაშენის ქ. № 51, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვარვარა დანიელის-ასულ ანტიპოვასთან** განქორწინების შესახებ. საქმე განხილული იქნება თბილისის ორჯონიკიძის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლოში.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის** ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

განცხადება სათანადო საბუთებთან ერთად შემოტანილ უნდა იქნას არა უგვიანეს 10 დღისა ამ განცხადების გამოქვეყნებიდან. კონკურსის პირობების გაგება შეიძლება ინსტიტუტში, ძერჟინსკის ქუჩა № 8, III სართული, ტელეფონი 3-54-08.

მოქალაქე **ვლადიმერ ასლანის-ძე გოგოძემ**, მცხოვრებმა მექოთნეთა ქ. № 36, აღძრა საქმე კალინინის ქ. № 14 მცხოვრებ მოქალაქე **ვერა რომანის-ასულ გოგოძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

ო. ეგაძე, კ. ძიძიგური, მ. ლორთქიფანიძე, ლ. ორახელაშვილი, ლ. გორგილაძე, ვ. გრძელიძე, ს. და ო. ანჯაფარიძეები იუწყებიან კ. წერეთლის მამის **ვანო წერეთლის** გარდაცვალებას.

რკინიგზის თბილისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება მასწავლებელ **ზაქარია დავითის-ძე ხატიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3/II, 1 ს. მეორე ირიბის, 20.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება უცხო ენების კათედრის გამგე პროფესორ **ერეკლე დიმიტრის-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4/II, 7 ს. ძერჟინსკის, 26. გამოსვენება 5/II, 4 ს.

## კომუნისტი ექიმები

**ჩხარი**, (... კორესპონდენტისაგან). სოფელ ს...რის ექიმები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად. განსაკუთრებით აღს...ნავია საექიმო უბნის გამგის ...ვარლამ მაკარიძისა და საავადმყოფოს გამგის ექიმ აპოლონ მაღლაკელიძის მუშაობა.

ისინი სოფელში მთელ რიგ პრო...ლაქტიკურ ღონისძიებებს ატარ... ამის შედეგად 1945 წლის განმა...ბაში აქ არც ერთ ინფექციურ და...დებას არ ჰქონია ადგილი.

კომუნისტი ექიმები დიდ პარტ...საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევ... ექიმი ვ. მაკარიძე მახლობელ სო...თერჯოლაში პირველადი ტერ...რიული პარტორგანიზაციის მდ... და აგიტპუნქტის გამგეა, ხოლ... პაღლაკელიძე სიქთარვის პირველ... ტერიტორიული პარტორგანიზა... მდივანი და საუბნო საარჩევნო კ...სიის წევრი. მათი ენერგიული ხე...ლმძღვანელობითა და დახმარებით ს... ჩვენი უბნები სანიმუშოდ ემზადებ... დიდი სახალხო დღესასწაულისათ... — სსრ კავშირის უმაღლესი საბ... არჩევნებისათვის.

**დ. კაჭკაჭიშვილი**

## „შესაფერი ჯილდო" სომხურ ენაზე

მწერალმა ვ. ავულიანმა ქართულიდან ს...ხურად სთარგმნა გ. ქელბაქიანის პიესა „შ...ფერი ჯილდო".

პიესა თავის რეპერტუარში შეიტანა ...ლისის სომხურმა სახელმწიფო თეატრმა. ...სას სდგამს რეჟისორი ფ. ბეიჯიანი. სპექტ...ლი ნაჩვენები იქნება თებერვლის ბოლო რ...ხვებში.

## ახალი წიგნები

„სახელგამმა" გამოსცა აკაკი ბელიაშვი...ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბ...გაბაშვილისა".

წიგნი, რომლის რედაქტორია ალ. ბარამ..., შეიცავს 386 გვერდს და ღირს 23 მანეთი.

* * *

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა" ...ბეჭდა სანდრო ეულის პოემა „არწივის ბუ...დან". წიგნი შეიცავს 63 გვერდს და ღ... 11 მანეთი. რედაქტორია გ. ნატროშვილი.

„სახელგამმა" გამოსცა ანდრო თევზაძის ლ...სების კრებული — „დიდება გმირებს". კ...ბულში მოთავსებულია 32 ლექსი და ერ... პოემა. კრებულის რედაქტორია ი. გრიშაშ...ლი. წიგნი 10 მანეთი ღირს.

* * *

„საბჭოთა მწერალმა" გამოსცა ლეო ქია...ლის რომანი „სისხლი" (მეორე გამოცემ...). წიგნის რედაქტორია ს. პილაია.

ამავე გამომცემლობამ დაბეჭდა რაჟდენ გ...ტაძის „ნოველები". წიგნი შეიცავს 2... გვერდს. რედაქტორია დ. ბენაშვილი.

„სახელგამმა" გამოსცა შ. რადიანის ნაშრ...მი „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატუ...რა".

წიგნი შეიცავს 353 გვერდს და ღირს ... მანეთი.

## კესხოველის სახელობის საქალაქო პარკკაბინეტში

4 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, საქარ...ველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ...კომების ინსტრუქტორებისათვის შესდგება ...ცენტ **მელქაძის** ლექცია ქართულ ენაზე. თ...მა: **„საქართველოს ბოლშევიკები ლენინ... სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გა... ხორციელებისათვის ბრძოლაში".**

4 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, ლექტ...რების, მომხსენებლებისა და მიმდინარე პ...ლიტიკის შემსწავლელი წრეების პროპაგანდ...ტებისათვის შესდგება ამხ. **ფრიშენბერგ...** კონსულტაცია რუსულ ენაზე. თემა: **„ს... კავშირის საერთაშორისო მდგომარეობ...** (თხუთმეტი დღის მიმოხილვა).

## ლ ე ქ ც ი ა

4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქარ...ველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაცი... სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში (25 ...ბერვლის ქ. № 2) საარჩევნო უბნების აგიტ...ტორებისათვის შესდგება ამხ. **კალაძის** ლ...ცია ქართულ ენაზე. თემა: **„დეპუტატი ხალ... მსახურია".**

## „სულხან საბა ორბელიანის თეატრი"

ორშაბათს, 4 თებერვალს, დღის 4 საათ...ზე, მწერალთა კლუბში დიმიტრი ჯა...ლიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „სულ... საბა ორბელიანის თეატრი".

შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგეს და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81. სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000. უე 00116